# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 28 მარტი. 2022 წ. №43 (9381) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


### პუტინის რუსეთის ფსიქოლოგიური პორტრეტი

# სირცხვილი და საშინელება




## წერილი მოსკოვიდან

"Россия – Пушкин"

или

"Россия не Путин, а – Пушкин"

или

"Россия = Пу~~т~~^шк^ин"

то есть:

"Russia = Pu~~t~~^shk^in"



**გია ბერძენიშვილი:**

ყველაფრის მიუხედავად, რუსეთი, მაინც არა პუტინი, რუსეთი პუშკინია!..

---

**გია გაბრიჭიძე:**

## ლიბერასტი უკრაინაში ლიბერასტია ③



---

## საქართველო მაინც „ამერიკული დახმარების“ იმედადაა! ④



**აშშ-რუსეთს შორის მიმდინარე საინფორმაციო ომი. „ზარალასა“ და „ჟორიკას“ მედიის „გოთვერნობა“...**

---

## ხვალ რა მოხდება, არავინ იცის!..




② „თითქოს რუსეთიდან ქალები და ბავშვები შემოდიან, სინამდვილეში, თბილისი სავსეა კარგად ნავარჯიშევი, ბრგე რუსი ვაჟკაცებით“

---

**მირონ ხერგიანი:**



## მაქციების ფუნდრუკი ⑤ „ჯაველინების“ აკომპანემენტით

# უკრაინას მთელი საქართველო ეხმარება

**პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. აბაშის მუნიციპალიტეტში მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით ბავშვთა კვებისა და მოვლის საშუალებები შეიძინეს.**

პირველ ეტაპზე საქართველოს რეგიონებში შეგროვილი 150 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი უკრაინაში უკვე ჩაიტანეს. უახლოეს დღეებში საქართველოს რეგიონებიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი კიდევ ერთხელ გაიგზავნება.

ტვირთის შეგროვება საქართველოს რეგიონებში უკვე დაწყებულია და მასში სახელმწიფო უწყებებთან ერთად ჩართულია ბიზნესი და სამოქალაქო სექტორი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის, რომელიც რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, ერთობლივად ხორციელდება. ტვირთის ტრანსპორტირების ლოჯისტიკის პროცესს „საქართველოს ფოსტა“ უზრუნველყოფს. ტვირთი, რომელიც უკვე უკრაინაშია, ძირითადად მოიცავს სამედიცინო დანიშნულების პროდუქციას, არა მალფუჭებად პროდუქტებს, პირველადი მოხმარების საგნებს. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების მეორე ეტაპი მიმდინარეობს.



იმერეთის მუნიციპალიტეტებში მობილიზებულია პირველადი მოხმარების არამალფუჭებადი პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები. ასევე მუნიციპალიტეტების მერიების სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით მიმდინარეობს სამედიცინო დახმარების საგნების, მედიკამენტების, ასევე ჟანგბადის კონცენტრატორებისა და ჰუმანიტარული დახმარების სხვა საგნების შეძენა. ტვირთის მობილიზების პროცესში, სახელმწიფო უწყებებთან ერთად აქტიურადაა ჩართული კერძო და სამოქალაქო სექტორი.

უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა გრძელდება გორის მუნიციპალიტეტში. სპეციალურად შექმნილ შტაბში, რომელიც გორის მერიის შენობაშია განთავსებული, უკვე რამდენიმე კვირაა უკრაინაში გასაგზავნი ტვირთის შეგროვება ხორციელდება. დახმარების მეორე ეტაპი დაიწყო მარტვილის მუნიციპალიტეტში, საჯარო მოხელეების, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის შეგროვილი თანხით უკრაინელი ხალხისთვის პირველადი მოხმარების ნივთები შეიძინეს, რაც დანიშნულების ადგილას უახლოეს დღეებში სხვა მუნიციპალიტეტების ჰუმანიტარულ ტვირთთან ერთად გაიგზავნება.

# ანდრიი კასიანოვი: ჩვენ უაღრესად მადლიერი ვართ საქართველოს მიერ გამოხატული თანმიმდევრული მხარდაჭერისთვის

— ამის შესახებ უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, **ანდრიი კასიანოვმა** საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ლაშა დარსალიასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

**„მქონდა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ლაშა დარსალიასთან. დღეს, ჩვენ, როგორც უკრაინელები, ისე ქართველები რუსეთის ფედერაციის მხრიდან პროვოკაციის მოწმენი გავხდით. ჩვენ უაღრესად მადლიერი ვართ უკრაინის მიმართ საქართველოს მხარის მიერ გამოხატული თანმიმდევრული მხარდაჭერისთვის, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციების — „უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია“ და უკრაინის წინააღმდეგ „აგრესიის ჰუმანიტარული შედეგები“ მხარდაჭერისთვის.**

**საქართველო არა მარტო მხარს უჭერს ამ რეზოლუციებს, არამედ იგი აღნიშნული რეზოლუციების თანასპონსორიცაა. ჩვენ ასევე მადლობელნი ვართ საქართველოს ეროვნული ბანკის მკაფიო პოზიციისთვის. კერძოდ, ევროკავშირის მიერ რუსული ბანკების წინააღმდეგ დაწესებული სანქციების რეჟიმის შესაბამისად მოქმედებისთვის. რუსეთი არ უნდა დარჩეს დაუსჯელი 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისთვის. მინდა დაგარწმუნოთ, რომ რუსეთი სრულად აგებს პასუხს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ომისთვის“,** — განაცხადა ანდრიი კასიანოვმა.

# ხვალ რა მოხდება, არავინ იცის!..

## „თითქოს რუსეთიდან ქალები და ბავშვები შემოდიან, სინამდვილეში, თბილისი სავსეა კარგად ნავარჯიშევი, ბრგე რუსი ვაჟკაცებით“




**დივერსანტები თუ ტურისტები? გამოუგზავნა თუ არა პუტინმა საქართველოს ტროას ცხენი რუსების და ბელარუსების სახით, რომლებიც ბოლო დღეებში საქართველოს მოაწყდნენ? მათ არ დაუგმიათ ომი არც უკრაინაში, არც საქართველოში, ფეისბუკზე ზოგიერთ მათგანს დღემდე პუტინის სურათები უდევს, მათ არ აწუხებთ ანწუხელიძეების, ტატუნაშვილების ტრაგედია, ქართული სოფლების აწიოკება აგვისტოს თუ აფხაზეთის ომების დროს. უბრალოდ, მოდიან კომფორტისთვის, რომელიც სანქციების გამო დაკარგეს. ჩვენ კი ოკუპანტებს პატივით ვღებულობთ. ცხადია, არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა რუსებს შეახსენებენ, რომ მხოლოდ პუტინი არ არის ოკუპანტი და თავისი მდუმარებით თუ წახალისებით ომის თანამონაწილეები უბრალო რუსებიც არიან.**

ოდესღაც სპარსელებისგან და თურქებისგან დაპყრობილ საქართველოში დამპყრობელი სპარსები და თურქები ასე იოლად ჩამოსვლას ვერ გაბედავდნენ, ვერც ჩვენი ტურიზმით ისიამოვნებდნენ, მაგრამ ახლა 21-ე საუკუნეა და ტოლერანტობას იოლად ვეფარებით. ვეფარებით ისე, რომ ვერც ვბედავთ, რუსებს ავუხსნათ, რომ საქართველო მათთვის კომფორტის სივრცე ვერ იქნება მანამ, სანამ რუსი დამპყრობელია.

რუსული დესანტის გადმოსხმა საქართველოში სწორედ სააკაშვილის მმართველობიდან იღებს სათავეს. აგვისტოს ომიდან ოთხი წლის თავზე სააკაშვილმა რუსებს სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გაუუქმა. არსებობს კადრები, რომლითაც მტკიცდება, პირადად როგორ დახვდა სააკაშვილი მისი სტუმართმოყვარეობით გაოცებულ რუსებს ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან და როგორ გადაიღო რუსებთან ფოტოები.

იმხანად ამ ადამიანებს ყოველგვარი შემოწმების გარეშე მოქალაქეობა მარტივად მიანიჭეს და დღეს ისინი სავარაუდო მეხუთე კოლონას აძლიერებენ. ამიტომაცაა, რომ ეს ადამიანები დღემდე ემადლიერებიან სააკაშვილს, რომელმაც საქართველოში მათ დასახლებაზე იზრუნა. იმ დროიდან მოყოლებული, უამრავი უძრავ-მოძრავი ქონება კაპიკებად ჩაიგდეს რუსებმა ხელში და არავინ აკონტროლებდა მათ.

დღეს უკვე ქართული სამაკლერო კომპანიები ველარ აუდიან მოზღვავებულ რუსებს, რომლებსაც საქართველოში ბინების ყიდვა და ქირაობა სურთ. იუსტიციის სამინისტროში რუსების რიგებია, რომლებიც ქონებას ყიდულობენ საქართველოში. მხოლოდ ერთ სასტუმრო „მაგნოლიაში“, მთაწმინდაზე, უამრავი რუსი შესახლდა. რაც შეეხება ბინებს, ყველაზე მეტად რუსები თბილისსა და ბათუმს ეტანებიან. მხოლოდ ერთ საცხოვრებელ კომპლექს „ორბიში“ 15 ათას ბინას რუსეთის მოქალაქეები ფლობენ.

საქართველოში ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ რუსეთის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვა არ ღირს და ამაზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს. არის სხვა რეკომენდაციებიც, რომ „წესიერი რუსები“, თუკი ასეთებიც შემოდიან საქართველოში, ენგურთან და შიდა ქართლის მავთულხლართებთან მივიყვანოთ და ანტიპუტინისტური აქციის ჩატარება ვთხოვოთ.

**უნდა მივიღოთ თუ არა ეს ადამიანები, რომ მომავალში რუსული დესანტი პრობლემად არ გვექცეს? რეალურად, ვინ არიან ისინი — რუს დიქტატორს გამოქცეულები, თუ პირიქით, რუსი დიქტატორის ნებართვით გამოგზავნილები? მათი მოზღვავება ხომ არ გამოიწვევს რუსოფობიას საქართველოში?**

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** ფიქრობს, რომ რუსების ჩანერგვა თუ ხდებოდა, ეს ხდებოდა წლების განმავლობაში და არა მაინცდამაინც ახლა, უკრაინის ომის პარალელურად. პოლიტოლოგის შეფასებით, მეხუთე კოლონის გაძლიერება ასეთ კრიტიკულ ვითარებაში არ ხდება. საეჭვოა, რომ უკრაინის ომის პარალელურად რუსეთმა საქართველოში სასწრაფოდ დესანტი გადმოისროლა...

**„რად უნდა რუსეთს ასეთი შეფარული დესანტი, ისე ვერ შემოდის საქართველოში? სანქციებს დაუწესებს დასავლეთი ამის გამო რუსებს, თუ დასჯის მათ იმისთვის, რომ მეხუთე კოლონას აძლიერებენ სხვა ქვეყნებში? მიუხედავად ამისა, რუსების უკონტროლო შემოსვლა მაინც საფრთხის შემცველია. აქ მხოლოდ დემოგრაფიულ ვითარებას არ ვგულისხმობ. ჩვეულებრივ, ჩვენ შევდივართ მძიმე ვითარებაში.**

იხ. 9 გვ.

# ვარშავა 30 წამში გაქრება?!

## ანჯეი დუდა: „პოლონეთი დიდია იმისთვის, რომ აგრესორის დასამარხი ადგილი მოვძებნოთ!“

**რუსეთიდან გაჟღერებული მუქარის საპასუხოდ პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ განაცხადა, რომ პოლონეთი მშვიდობიანი ქვეყანაა, თუმცა აგრესიის შემთხვევაში თავს დაიცავს.**

როგორც უკრაინული მედია TVP-ზე დაყრდნობით წერს, დუდას ჰკითხეს პოლონეთის წინააღმდეგ რუსეთის მუქარაზე, პრეზიდენტმა კი პოლონური გამონათქვამის შემოკლებული ვერსია გაიხსენა — **„ნუ შეშინდები, არ შეშინდე (რადგან თვითონ ჩაისვრი)“:**

**„ჩვენ ვართ ერი, რომელიც თავს არავის დასხმია, განსაკუთრებით უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში. ჩვენ ყოველთვის გვსურდა მშვიდად ცხოვრება. ჩვენ გვესხმოდნენ თავს“.**

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთს მშვიდობა სურს.

**„ჩვენ გამოვაღწიეთ რკინის ფარდის მიღმა, დავიბრუნეთ სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ეკონომიკური თავისუფლება, დავიწყეთ შედარებით კომფორტულად ცხოვრება, განვითარება, გამდიდრება, მივყვებოდით რა მშვიდობიან ცხოვრებას და გავხდით სამყაროს მოქალაქეები. გვსურს, ეს გაგრძელდეს. ეს არის ჩვენი მისწრაფება, როგორც საზოგადოების და ერის. ჩვენ არ ვართ აგრესიულები და არ გვსურს ვინმეზე თავდასხმა“,** — განაცხადა დუდამ და დასძინა, **„მაგრამ ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ თავს ვილაც დაგვესხმება. თუ ვინმეს სურს თავდასხმა, იქნება ეს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ სხვა ნებისმიერი მიმართულებიდან, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ საკუთარ სამშობლოს“.**

**„გარწმუნებთ, ის საკმარისად დიდია იმისთვის, რომ აგრესორის დასამარხად ადგილი მოიძებნოს“.**

დუდას განცხადება იყო პასუხი რუსეთის ფედერაციის პროპაგანდისტული არხების ეთერში გაჟღერებულ მუქარაზე, რომლის მიხედვითაც, თუ პოლონეთი მიიღებს მონაწილეობას უკრაინაში სამშვიდობო მისიაში, შესაძლოა, ეს ბირთვულ შეტევაში გადაიზარდოს და რომ **„ვარშავა 30 წამში გაქრება“!..**

# უკრაინაში ნატოს სამშვიდობო მისიის გაგზავნის მომხრე ქვეყნების რიცხვი გაიზარდა

პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მატეუშ მორავიეცკის განცხადებით, უკრაინაში ნატოს სამშვიდობო მისიის გაგზავნის მომხრე ქვეყნების რიცხვი გაიზარდა.

**„ბოლო დღეებში მედიიდან შევიტყვეთ, რომ ამ იდეას დადებითი რეაგირება მოჰყვა დანიასა და ლიეტუვაში. დღეს შემიძლია გითხრათ, რომ სხვა წევრმა ქვეყნებმაც გამოთქვეს მზადყოფნა, თუმცა ისინი ელოდებიან გარკვეულ მხარდაჭერას და ნატოს საერთო პოზიციას. ხაზს ვუსვამთ, ეს უნდა იყოს ნატოს მისია“, — განაცხადა მორავიეცკიმ.**

მანამდე ვარშავის ინიციატივას თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი ჯენ ფსაკი გამოეხმაურა. მისი თქმით, თეთრმა სახლმა არაერთხელ განაცხადა, რომ რუსეთთან საომრად ამერიკელი სამხედროების გაგზავნას არ აპირებს, თუმცა ვაშინგტონი აგრძელებს რამდენიმე სცენარზე მსჯელობას და მათ შორისაა სამშვიდობოების გაგზავნის ინიციატივაც.

**„არავინ ადებს ახალი სამოსიდან ახეულ საკერებელს ძველ სამოსს; თორემ ახალიც დაიხევა და ვერც ძველი მოიხდენს ახალს. არც არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეთქავს ახალი ღვინო ტიკებს, თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება“.**
ლუკას სახარება თავი მეხუთე.



# ლიბერასტი უკრაინაშიც ლიბერასტია

უკრაინის ომმა დაგვანახა, რომ ის პრიორიტეტები, რომლებიც აქამდე არსებობდა, ძირფესვიანად შეიცვალა და პირველ რიგში უნდა შეიცვალოს მათი წარმოჩენის და საზოგადოებამდე მიტანის ის ძველი ფორმა, რაც იმ დამყაყებულ მედიასაშუალებებს აქვთ.

ნაცების წარმოებული საინფორმაციო ომი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება ძალიან ცუდად არის წარმოჩენილი (ძალიან ცუდად!!!) არა ხელისუფლების, არამედ საზოგადოების დამარცხებაა.

ცხადია, არის სიმართლეც, მაგრამ... გაშუქება მწირია და მეორეც – იმ ტელერეპორტაჟებში, რომლებიც გადის თუნდაც ერთადერთი არხის მეშვეობით, არაფერია ნათქვამი იმ რეალურ დახმარებაზე, რასაც სახელმწიფო აკეთებს **(ჰუმანიტარული, საერთაშორისო დონეზე, დევნილების მიღება),** არაფერია ნათქვამი ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ ხალხის განწყობაზე.

გასაგებია, რომ ქალაქები იბომბება. ამას ყველა აშუქებს, მაგრამ რატომ არ არის ინტერვიუები იმ ქალაქების ხელმძღვანელებთან, სადაც დახმარება ჩავიდა, იმ ხალხთან ვინც მიიღო. იმ სტრუქტურებიდან, სადაც სანქციებს მივუერთდით და აქტიური სამუშაო ჩატარდა. იმ ხალხთან, ვინც ცდილობს საქართველოში წამოსვლას (შეკითხვა – რატომ საქართველო? და სავარაუდო პასუხი – ბავშვების სწავლა აქ უფრო შესაძლებელია, ვიდრე მაგალითად პოლონეთში, ან რუმინეთში და ადამიანური ურთიერთობები უფრო მჭიდროა).

და არა ტელეშეძახილები, არამედ დაბეჭდილი ანალიტიკა, პუბლიცისტიკა, რომელსაც ხალხი წაიკითხავს.

რა, საქართველოში ისეთი გაზეთი არ გამოდის, სადაც სიმართლე იწერება და ხალხის სიყვარულს 103 წელიწადია ატარებს?

იქნებ პუბლიცისტიკაში, ან ანალიტიკაში მომუშავე ჟურნალისტები აღარ არიან?

იქნებ მაინც არის ერთი-ორი სადმე შემორჩენილი?

ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელმა მოძებნა? იქნებ აქვეა, ცხვირწინ, და თქვენზე შემოსეულ აფთრებს ისე ებრძვის როგორც უკრაინა პუტინის ჯარებს?

აი, სწორედ ეს მარაზმია პირველ რიგში შესაცვლელი. შესაცვლელი და ზუსტად იმ კანონებით, რასაც ომი მოითხოვს.

დიახ, სწორედაც რომ ომის კანონები, რადგანაც ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. რადგანაც პარლამენტში და ტელევიზიებში მე-5 კოლონის წარმომადგენლები სხედან.

**აუცილებლად უნდა შეიცვალოს მედიასთან დამოკიდებულება.**

**ყველაფერი გასაწმენდია. გასაწმენდია, მაგრამ საიდან უნდა მოვიდნენ ის ახალი ჟურნალისტები და სხვა თანამშრომლები?**

**საიდან უნდა მოვიდეს ის ხალხი, რომლებიც ხედავენ, რომ თუ უგვანი აზროვნება არ გაქვს, ვერსად ვერ იქნები. ხედავენ ასეთ სისტემას და ამას ემატება განათლების და კულტურის კრახი.**

**ეკონომიკას ეშველება. ეშველება სოფლის მეურნეობასაც და ინფრასტრუქტურასაც, მაგრამ თუ ხალხთან ინფორმაციის მიმტანი გაუნათლებელი და სულით მდაბიოა, ის ხალხსაც დაასნებოვნებს.**

არის ასეთი გამონათქვამი – туз и в Африке туз!..

დღეს ამ ფრაზამ საკმაოდ ფართო არეალი შეიძინა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ – ლიბერასტი ომშიც ლიბერასტია.

ყველამ ვიცით, რომ ამ ტიპაჟს არა აქვს ეროვნება, არა აქვს სარწმუნოება, სქესი, ნამუსი და ის თვისებები, რაც ნორმალურ ადამიანს ახასიათებს.

მათთვის მთავარია ე.წ. კუჭის სინდრომი, რომელსაც ფრაზებით „კომფორტის ზონა“, „გამოხატვის თავისუფლება“ და „პირადი სივრცე“ ფუთავენ.

ამ არანორმალური მდგომარეობის გამო, მათ გამძაფრებული აქვთ თვითგადარჩენის ინსტინქტი და ცხოვრობენ ბანდის პრინციპით – ბოლომდე დაიცვან თავიანთი სულიერი თანამოაზრეები.

გავაკეთებ ზაზა ნაკაშიძის (ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“) ერთი ფრაზის მცირე ინტერპრეტაციას – ლიბერასტს განათლება, ეროვნება არ გააჩნია. ლიბერასტი გინდა ზესტაფონელი იყოს, გინდა მესოპოტამიელი და გინდა უკრაინელი, ლიბერასტია. მას, როგორც არ უნდა უჭირდეს, მზად არის გვერდში დაუდგეს სხვა ლიბერასტებს...

აი, თუნდაც უკრაინის საგარეო უწყების სპიკერი ოლეგ ნიკოლენკო სწუხს, კარასინმა შეაქო საქართველო სანქციებთან არმიერთების გამო – იმის მერე, რაც რუსეთმა 2008 წლიდან გაგიკეთათ, არ გრცხვენიათ?

ჯერ ერთი, ჩვენ კარგად ვიცით რას ნიშნავს, როცა აფთარი „გაქებს“. ვიცით და ვემზადებით, მაგრამ მას არ რცხვენია, როცა იმის ნაცვლად, რომ საკუთარ ქვეყანას იარაღით და ყველა საშუალებით იცავდეს, მოიცალა იმ საქართველოსთვის, რომელიც ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე უკრაინის უპირობო მხარდაჭერას ადასტურებს (ჰუმანიტარულ ნაბიჯებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ქართული დახმარება უკრაინელ ხალხს ეკუთვნის და არა იმ გაზულუქებულ ჩინოვნიკს, ვისაც სავარაუდოდ დასავლეთში თავშესაფარი უკვე მოძებნილი ექნება).

და მეორეც – თავად თქვენ არ გრცხვენიათ, ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს მტრებს, ძებნილებს, კრიმინალებს არამც თუ იფარებთ, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებში საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობებზე გიზით?

ნაციონალური მოძრაობის სწრაფვამ ომისკენ, გამახსენა ფრაზა შესანიშნავი ქართული ფილმიდან „ღიმილის ბიჭები“ – Война все спишет! (შალიკო, ზურაბ ქაფიანიძის გმირი, რომლის ფსიქიკაზე ომმა იმდენად იმოქმედა, რომ შეძახილით Война все спишет! სარკის და სხვადასხვა ნივთების მტვრევას იწყებს).

ჰგონიათ, რომ ომი ყველაფერს ჩამოწერს, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა და ყველა დანაშაული შერჩებათ.

არა, ბატონებო, არ იქნება ეგრე.

არც ომი იქნება და არც არაფერი ჩამოიწერება!..

როცა პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლა მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკური ტრაგედიად შეაფასა, მან ფაქტობრივად დაადასტურა მისი შინაგანი სურვილი რუსეთისთვის გამხდარიყო მეორე სტალინი, სწორედაც რომ სტალინი და არა ვთქვათ ივანე მრისხანე, ან პეტრე პირველი!

მსგავსი ვნებები ძირითადად შინაგანი კომპლექსების მატარებელ მეორეხარისხოვან დიქტატორებს ღრღნის.

სტალინს არ სურდა ჩინგის ხანი ყოფილიყო, მაო ძე დუნი არ იწვოდა სურვილით ყოფილიყო ცინ შიხუანდი დ.ა.შ.

აი, ჰიტლერი კი ცდილობდა თავი ნაპოლეონის რეინკარნაციად წარმოესახა (ამას ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაში ნაპოლეონის რეფორმებსა და ევროპის პოლიტიკური გადაწყობის სურვილით ხსნიდა, მაგრამ ეს სხვა თემაა), რაზეც სტალინმა თქვა: ჰიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი – ლომს.

სწორედ ეს შინაგანი კომპლექსი, ეს იდეაფიქსი აიძულებს პუტინს იჩალიჩოს სტალინობაზე, მაგრამ ვერ ქაჩავს.

ვერ ქაჩავს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას არ გააჩნია იდეა, იდეა, რომელიც გამყარებული იქნება გარკვეული ფილოსოფიურ-ეკონომიკური თეორიით. სტალინს მსგავსი ბაზა ჰქონდა მარქსის, ენგელსის და ლენინის ფილოსოფიურ-ეკონომიკური შრომების სახით და ამას დამატებული ის თავადაც ქმნიდა საკმაოდ ყურადსაღებ ტრაქტატებს, რაც პუტინის შემთხვევაში უბრალოდ არ არსებობს.

სწორედ ამ მთავარი მიზეზის არქონის გამო პუტინი გადაიქცა ჩვეულებრივ ტერორისტად, რომელსაც სხვა ტერორისტებთან შედარებით მეტი მატერიალური რესურსი გააჩნია.

ამიტომ თუ შედარებას გავაკეთებთ, ის უფრო ჰგავს ატილას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არბევდა და სიცოცხლე („ცხოვრება“ არა, „სიცოცხლე“) მებრძოლისთვის საკმაოდ სამარცხვინო ფორმით დაასრულა. ის ტყვე ქალმა მოკლა (არ მინდა იმის შეხსენება, რომ ის ტყვე ქალი უყვარდა, ცოლად მოიყვანა, ფეხმძიმედ იყო და მსგავსი ჰოლივუდური ზღაპრები. მეც ვიცი ეგ ლეგენდები).

* * *

**ყველამ იცის ჩემი აზრი იმ უაზრო წარმონაქმნებზე, რასაც ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები ჰქვია, მაგრამ დღეს ისინი უკვე სრულ კლოუნადაში ჩაერთვნენ.**

მათ მკაცრი მოწოდება გაუგზავნიათ ხელისუფლებისთვის, რომელიც კაპიტანმა გიგაურმა გაახმიანა და სადაც მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ უფრო მკაფიო მხარდაჭერა უნდა გამოხატოს უკრაინის მიმართ.

ქალოოოოუ, ყველა საერთაშორისო ფორუმზე საქართველოს ხელისუფლება თავის მიზნებს ნათლად გამოხატავს (თქვენგან და თქვენი „დედა პარტიისგან“ განსხვავებით) და დგას იქ, სადაც დგანან ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

ჰუმანიტარული დახმარება გაიგზავნა და კიდევ გაიგზავნება.

იმ დევნილებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ, მაქსიმალური ყურადღება და დახმარება აქვთ გარანტირებული.

ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი, ნებისმიერ ბრიფინგსა, თუ სხვადასხვა საკითხზე მსჯელობის დროს მკაფიოდ ადასტურებს უკრაინისადმი მხარდაჭერას.

არ აჰყვა იმ შიშებს, რომლის დათესვაც დაიწყეს ნაციონალურმა მოძრაობამ და ამ ე.წ. გავლენიანმა არასამთავრობოებმა და არ გადაუხვია ევროპულ კურსს.



**ჰოდა, რაღა ჩემი „ქუქუნდარა-ცუნდარა“ გინდათ?**

**არა რა, არ იქნება ამათი საშველი.**

**წერილს კი ამ სიტყვებით დავამთავრებ: დიდება უფალს!**

**მშვიდობა უკრაინას და უკრაინელებს!**

**გაუმარჯოს საქართველოს!**

**გია გაბრიჭიძე**



## ზელენსკი მხოლოდ სამართლიან პირობებს დასთანხმდება

**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების პირობები სამართლიანი უნდა იყოს, რადგან უკრაინელი ხალხი სხვა პირობებს არ მიიღებს.**

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საუბარი სერიოზული უნდა იყოს, უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფით.



## უნგრეთი რუსეთისთვის სანქციების დაწესებას არ აპირებს...

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრი რუსეთისთვის სანქციების გამკაცრების შესახებ უკრაინის პრეზიდენტის მოწოდებას გამოეხმაურა.** ვიქტორ ორბანის თქმით, უნგრეთი მოსკოვისთვის სანქციების დაწესებას არ აპირებს, რადგანაც ეს ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანო იქნება. მისივე თქმით, უნგრეთი უკრაინას არც თავდაცვითი იარაღით მოამარაგებს, რადგანაც რუსეთის წინააღმდეგ კონფლიქტში ჩართვა არ სურს.

## დასავლეთმა რუსეთს ტოტალური ომი გამოუცხადა



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციებით დასავლეთმა რუსეთს ტოტალური ომი გამოუცხადა.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ის მიიჩნევს, რომ დასავლეთის მიზანია **„დაანგრიოს და გაანადგუროს რუსეთის ეკონომიკა და მთლიანად რუსეთი“.**

## მარიუპოლელთა ევაკუაციისთვის ემზადებიან



საფრანგეთს სურს, საბერძნეთთან და თურქეთთან ერთად უკრაინის ქალაქ მარიუპოლში დარჩენილი ადამიანების ევაკუაცია განახორციელოს. **„მარიუპოლში უმნიშვნელოვანეს ჰუმანიტარულ ოპერაციას ვიწყებთ. ეს ოპერაცია თურქეთთან და საბერძნეთთან ერთად ჩატარდება და მისი მიზანი მარიუპოლიდან ყველა მსურველის ევაკუაცია იქნება. ყველაფერი საუკეთესო დონეზე იქნება განხორციელებული. გვქონდა კონკრეტული საუბარი მარიუპოლის მერთან. უახლოეს 48 საათში ამ საკითხზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთანაც ვისაუბრებ“,** – აცხადებს მაკრონი.

**და, სხვა მრავალიც, რასაც ჩემთვის გამოყოფილი საგაზეთო ფართობი დაიტევს. რადგანაც მიმდინარე პროცესების ანალიზიდან გამომდინარე მოსალოდნელი გეოპოლიტიკური ძვრების პროგნოზირება ერთობ ძნელი, თითქმის შეუძლებელი მგონია, რადგანაც საქართველოში თუ მის გარეთ ვითარება უსწრაფესად იცვლება...**

მოკლედ, წინამდებარე წერილში საქართველოსთან მიმართებით მსოფლიო გეოპოლიტიკის სერიოზულ საკითხებზე საუბარს თუ ვაპირებ, ერთი შეხედვით, რა შუაშია აქ ვიღაცა „ზარალა“ და კიდევ უფრო „ვიღაცა“ „ჟორიკა“, რომელთა „კლიჩკების“ სტატიის სათაურშივე „ჩასმა“, რბილად რომ ვთქვათ, ჩემ მიერ გადადგმული, არც თუ უსაფრთხო ნაბიჯია.

რადგანაც, როგორც ამბობენ, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ზეობის ჟამს, პრეზიდენტისადმი კრიტიკულად განწყობილი, მაგრამ ვაჟკაცი ბიზნესმენების წამება-შანტაჟის გზით ორივემ დიდი ფული იშოვა, საიდანაც, ხელშეუხებლობის გარანტიების სანაცვლოდ, მიშარასტების პარტიის „ყულაბაში“ რეკეტით ნაშოვნი მაყუთიდან პარტიის საწევრო თანხებს რიცხავდნენ

რაც შეეხება „ჟორიკა“ რურუას, მასზე, წინასწარ თავის დაზღვევის მიზნით, „ჯადოსნურ სიტყვა „ამბობენ“-ს **(მსგავსი ვირეშმაკობანი „ამბობენ“, „ჩემი ინფორმაცით“ და ა.შ., ჟურნალისტიკაში მოსულა და არა მარტო ჩვენთან, არამედ დასავლეთის „თავისუფალ“ მედიაშიც ამ სიტყვას ამოფარებულნი, თავლაფს დაგასხამენ და, რომ იტყვიან, „ურტყი კრუგები“, ვინ არის კონკრეტულად ამ სიტყვის უკან, ანუ ე.წ. ინფორმაციის წყაროს არგათქმა დასჯადი არ არის)** არ ვიხმარ და ჩემი სახელით ვაცხადებ, რომ „ჟორიკა“ ჯერ ჯაბა იოსელიანის ქილერი იყო და შემდეგ ალბათ პატრონი შეიცვალა და თუ უბრძანებდნენ, მიშა სააკაშვილის ვალებსაც გაისტუმრებდა...

**რა ვალებს?**

როგორც ცნობილია, როდესაც „ვარდოსნები“ მოვიდნენ ხელისუფლებაში, იმ დროს „ჟორიკა“ რურუა აშშ-ს ციხეში მრავალწლიან „სროკს“ იხდიდა. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, კონკრეტულად რა დანაშაულისთვის, მაგრამ სავარაუდოდ, ჰამბურგერის მოპარვისთვის რომ არა, ცხადია...

ასე იყო თუ ისე, ნიკა რურუამ საკუთარი ძმის ექსტრადიციას მიაღწია აშშ-ს ციხიდან თბილისის ე.წ. „გუბერსკში“. რაც დემოკრატიის შუქურა მიშა სააკაშვილის ამ საქმეში ჩაურევლად ვერ მოხდებოდა.

დანარჩენი კი, ანუ „ჟორიკას“ „სვაბოდაზე“ გამოშვება, რომ იტყვიან ტექნიკის საქმე იყო,მაგრამ ამ კრიმინალური ოპერაციის, „ამერიკა-თბილისის“ ორგანიზატორებს ერთი „იაღლიში“ მაინც მოუვიდათ – როგორც ვიცი, „ჟორიკას“ განთავისუფლებამდე, „გუბერსკის“ ბინადარმა ე.წ. კანონიერმა ქურდებმა, (რომელთა სხვადასხვა სახის „ვალებიც“, ჯერ კიდევ მხედრიონის პარპაშიდან მოყოლებული „ჟორიკას“ ბევრი მართებდა), როგორლაც დაიმარტოხელეს და, როგორც ამბობენ, ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ იტყვიან, სიკვდილი სანატრელი გაუხადეს!..

„როგორც ამბობენ“, „როგორც მე ვიცი“ და ა.შ. რაზედაც ამ „მექანიზმზე“ ზემოთ გამოწვლილვით ვისაუბრეთ, ახლა საუბრით საკუთარ თავს კი არ ვეწინააღმდეგები, უბრალოდ არ ვიცი, ზუსტად რა და როგორ მოხდა, რადგან ვისთანაც ამ თემაზე მისაუბრია, ყველა საკუთარ ვერსიას მთავაზობს. თუმცა არა რადიკალურად განსხვავებულს. ერთადერთი, რასაც ჩემი ყველა „რესპონდენტი“ ერთხმად ადასტურებდა ის არის, რომ „ჟორიკას“ ე.წ. კანონიერი ქურდებიც ჰყოლია მოკლული, რის გამოც, „ჟორიკას“ ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანით ე.წ. „შავმა სამყარომ“ შური იძია.

ამასთან დაკავშირებით, რაც დანამდვილებით ვიცი ის არის, რომ იმ ვენდეტის, შურისძიების მონაწილეთაგან არც ერთი აღარ არის ცოცხალი?!

თუ რატომ, ამ „ურთულესი განტოლების“ ამოხსნა, მკითხველისთვის მიმინდვია...

რისთვის და რატომ დამჭირდა, თანაც ასე ვრცლად „ჟორიკაზე“ საუბარი? – იმის სათქმელად, რომ, როცა ასეთი „სასახელო“ ბექგრაუნდის პატრონს მხოლოდ იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისთვის დაიჭერ, ხელისუფლება კი არა, მთხლე ხარ!

მით უმეტეს, რომ დიდი ალბათობით „ჟორიკას“ სახლში კანონიერად შეძენილ-გაფორმებული იარაღების იმხელა არსენალი ექნება, რომ უკრაინაში მებრძოლი „აზოვის პოლკის“ ერთ ბატალიონს მაინც ეყოფოდა...



„ზარალა“ და „ჟორიკა“

# საქართველო მაინც „ამერიკული დახმარების“ იმედადაა!

## აშშ-რუსეთს შორის მიმდინარე საინფორმაციო ომი, „ზარალასა“ და „ჟორიკას“ მედიის „გოთვერნობა“...

სინამდვილეში კი აი რა მოხდა – „ჟორიკას“ პოლიტიკური მოტივით დაპატიმრების გამო, მთელი კოლექტიური დასავლეთი და აშშ ისე აღაშფოთა დემოკრატიისთვის „მებრძოლი რაინდის“ დატუსაღებამ, რომ ქოცების ფარჩაკმა ხელისუფლებამ ვერ გაუძლო კოლექტიური დასავლეთის და საქართველოში პირადად აშშ-ს ობკომის ელჩის, კელი დეგნანის ზეწოლას და პროფესიონალი მანიაკი ქილერი „ჟორიკა“, პოლიტპატიმრის სტატუსით ისე გაანთავისუფლეს, რომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობის მოხდაც არ აცალეს...

ყოველივე ზემოთ თქმულის ფინალმა (თუ ასე თქმა უპრიანია) აღაშფოთა ქართველი საზოგადოება, რადგანაც, თუ ზემოთ ნაამბობი ზოგი ეპიზოდი მავანთათვის მართალი არ არის, სამაგიეროდ ყველასთვის ცნობილი და უეჭველია, რომ ზემო ვერაზე, ე.წ. „სემიონოვკის“ დასახლებასთან, ტრასაზე, თორაძეების მრავალსულიანი ოჯახი (მცირე წლოვან ბავშვებთან ერთად), მაშინ მხედრიონის ერთ-ერთმა ლიდერმა და დღეს პოლიტიკურად დევნილმა „ჟორიკამ“, ავტომატით ჩაცხრილა.

მარტო ამ „ვაჟკაცობისთვის“ ეკუთვნის „ჟორიკას“ წინამდებარე სტატიის სათაურშივე ჩასმის „პატივი“...

რაც შეეხება „ზარალას“ (თვალითაც არ მინახავს და არც მისი ნამდვილი სახელი და გვარი არ ვიცი), სათაურშივე მოხსენიების „პატივი“ იმისთვის ერგო, რომ „ჟორიკას“ ბიზნეს-პარტნიორი მედია-სილქნეტის თანამფლობელია და აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ერთად ჩაიდინეს მედია-გოთვერნობა – აშშ-რუსეთს შორის მიმდინარე საინფორმაციო ომის დროს გამითიშეს რუსული ტელეარხები, ORT და RTR, რის გამოც მხოლოდ რუსოფობიური პროპაგანდის ტელეარხებს ვუყურებ.

მოკლედ, თვეზე მეტია „ზარალა“ კლიჩკას ამართლებს, რუსოფობიური არხების ყურებით მორალურ ზარალს მაყენებს – დამიბრუნეთ ის, რაც აღარა მაქვს, ფულს კი მაინც მახდევინებთ!

ყოველივე ზემოთქმულის მოკლე რეზიუმე კი ასეთია: „ზარალასა“ და „ჟორიკასთვის“ ქოცების ხელისუფლების ხელშიც არაფერი შეცვლილა: როგორც მიშას დროს „ღუნავდნენ მაყუთს“ და ხელშეუხებელნი იყვნენ, ახლაც ასეა და უფრო მეტიც – „ჟორიკამ“ პოლიტდევნილის სტატუსი შეიძინა, რაც მის ხელის ხლებას კიდევ უფრო აძნელებს. თუმცა, ამ მიმართებით მაინცდა მაინც, არც ქოცები იკლავენ თავს ისევე, როგორც ათასობით სხვა შემთხვევებში, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ!

ვინც ბანქოს თამაში, ფრანგული პრეფერანსი იცის, ამ აზარტული თამაშის ტერმინი, „ამერიკული დახმარებაც“ იცის, რას ნიშნავს. ვისაც ამ ინტელექტუალური თამაშის ინჩიბინჩი არ იცის, მათთვის მოკლედ განვმარტავ, თუ რას ნიშნავს ამ თამაშის ტერმინი „ამერიკული დახმარება“.

მოკლედ, თუ „ამერიკული დახმარება“ დაგჭირდება, ეს ნიშნავს მოთამაშის უეჭველ, გარანტირებულ წაგებას. რადგანაც მეტოქე (ამ თამაშს 3 ან 4 მონაწილე ჰყავს) თუ ერთი ქულით (ვისტი) „დაგეხმარება“, სანაცვლოდ თავისთვის 10 ვისტს (ქულას) აგახევს.

რატომ გაჩნდა ბანქოში ტერმინი „ამერიკული დახმარება“?!

იმიტომ, რომ გეოპოლიტიკაშიც აშშ ხარბი, მტაცებლური თვისებებით არის გამორჩეული. თუმცა, ამ მხრივ არც გეოპოლიტიკის სხვა, მსხვილი მოთამაშენი არიან უცოდველნი, მაგრამ აშშ მაინც ყველასგან გამორჩეულად მტაცებელია.

თუნდაც დღევანდელი ვითარებაა ამ მხრივ სამაგალითო – უკრაინას სწორედ „ამერიკული დახმარებით“ ეხმარება აშშ და კიევისთვის სავალალო შედეგიც სახეზეა – ერთი მხრივ ჯო ბაიდენი პირდაპირი ტექსტით ეუბნება უკრაინის პრეზიდენტს: ვერც ჯარით დაგეხმარები, ვერც უკრაინის ცას ჩავკეტავ, ვერც ნატოში, ვერც ევროკავშირში ვერ მიგიღებთ, თუმცა ორივეს კარები ღიაა – ფულსა და იარაღს, რამდენსაც გინდათ იმდენს მოგცემთ და თქვენ იცით და რუსეთმაო. უკრაინის გულისთვის რუსეთს არავინ დაეჯახება, რადგანაც ასეთი ჯახი, მესამე და უკანასკნელ მსოფლიო ომს ნიშნავს!..

მიწასთან გასწორებული უკრაინის ქალაქები. აი, „ამერიკული დახმარების“ შედეგი და, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუილ მაკრონმა ბრძანა, ეს ყველაფერი ჟურნალია, ნამდვილი კინო ჯერ არ დაწყებულა, უკრაინას უარესი მოელისო.

და ამ დროს, რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება?

ოპოზიციის მიერ დაშანტაჟებული „ქართული ოცნება“ თავდაცვის რეჟიმშია – მართალია, უკრაინასთან ერთად რუსეთს არ ვეომებით, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთის საწინააღმდეგო ყველა რეზოლუციისა და განცხადების ხელმომწერები ვართ და ეკონომიკურადაც ვეხმარებით მოძმე უკრაინელებს.

ამის მთქმელთა საყურადღებოდ ვამბობ: არავითარი მოძმე ერები არ არსებობენ და სიყვარულითაც მხოლოდ ქართველი ერი მიყვარს. დანარჩენებს, როგორსაც იმსახურებენ, ისეთ პატივს ვცემ და ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ საკუთარ სამშობლოში ასობით ათასი მშიერ-მწყურვალე დევნილი გვყავს, რომლებიც ნაგვის ურნებში იქექებიან. ჰოდა, ჯერ ქართველი ხალხი დააპურეთ და შემდეგ იყელყელავეთ უკრაინაში ტონობით გაგზავნილი სურსათით, ლიბერასტული დასავლეთის წინაშე...

ეს ომი რუსეთ-უკრაინას შორის კი არა, რეალურად აშშ-რუსეთს შორის ომია, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ამ ომს ღირებულება-ფასეულობათა შორის ომიც შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც სავარაუდოდ უკრაინის კაპიტულაციით დამთავრდება და მსოფლიო ბუნებრივად გაიყოფა



მინიმუმ სამ ნაწილად – პირველი, ყოველგვარი მორალისგან დაცლილი კოლექტიური დასავლეთი, რომლის ლიდერი ულმერთო სატანისტი აშშ იქნება, მეორე, ტრადიციული ღირებულებების აზია, ჩინეთის დომინანტობით და მესამე, ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანობის რუსეთის იმპერია!..

**დავით მხეიძე**

# ირაკლი შოთაძე: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები გაიხარჯა მიხეილ სააკაშვილის ფუფუნებისთვის!



**...დადასტურებული ფაქტია, რომ მილიონები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიხარჯა მიხეილ სააკაშვილის ფუფუნებისთვის, –** ამის შესახებ გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისთვის წარდგენილი ბრალდების საქმეებს შორის ერთ-ერთია. მისი თქმით, ნებისმიერი საჯარო მოხელე, რომელიც არამიზნობრივად დახარჯავს საბიუჯეტო სახელმწიფო ხარჯებს, რა თქმა უნდა, წარდგება მართლმსაჯულების წინაშე და მოუწევს პასუხისგება.

**„აქ საუბარი არის რვა მილიონი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე. როდესაც ვილაცები ცდილობენ, ამ საქმის პიჯაკებამდე დაყვანას, ეს სასაცილოა! დადასტურებული ფაქტია, რომ მილიონები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიხარჯა მიხეილ სააკაშვილის ფუფუნებისთვის. მათ შორის, მისი მეგობრების ძვირადღირებული კურორტების ტაილანდზე დასვენებისთვის დაიხარჯა კოსმეტიკურ პროცედურებზე, დაიხარჯა მისი კულინარიული ფანტაზიების დაკმაყოფილებაზე, როდესაც მზარეულები ჩამოჰყავდა უცხოეთიდან და ამაზეა საუბარი. ნებისმიერი საჯარო მოხელე, რომელიც მსგავს ხარჯს გასცემს, არამიზნობრივად დახარჯავს საბიუჯეტო სახელმწიფო ხარჯებს, რა თქმა უნდა წარდგება მართლმსაჯულების წინაშე და მოუწევს პასუხისგება.**

**მე შემიძლია გითხრათ, სამართლებრივად, თქვენ ელაპარაკებით გენერალურ პროკურორს და თითოეული ჩემი პასუხი არის სამართლებრივი. სამართლებრივად შემიძლია გიპასუხოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ჩვეულებრივი პატიმარი, – ეს ერთი. რაც შეეხება მისი გადაყვანის საკითხს და მის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ჩადენის შესაძლო ფაქტს, ამაზე მიმდინარეობს გამოძიება საკმაოდ ინტენსიურად, დანიშნულია მთელი რიგი ექსპერტიზები, ჩატარებულია მთელი რიგი საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები და კიდევ ჩასატარებელია. მას შემდეგ, რაც ამოიწურება ეს საგამოძიებო მოქმედებები, პროკურატურა მისცემს ამ ქმედებებს სამართლებრივ შეფასებას და საზოგადოება შეიტყობს ამის შესახებ“...**

ამასთან, როგორც შოთაძემ აღნიშნა, ამ ეტაპამდე დადგენილია, რომ საქმე ეხება რვა მილიონი ლარის ოდენობის თანხის არამიზნობრივ ხარჯვას.

**„შემიძლია გითხრათ, რომ სხვა წლებზე, მათ შორის, სახელმწიფო ადმინისტრაციის ხარჯებზეც და შემდგომ პერიოდზეც მიმდინარეობს გამოძიება. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, შესაძლოა, აღმოჩნდეს განსასჯელის სკამზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მიდის გამოძიება და შესწავლა. ამ ეტაპამდე რაც არის დადგენილი, საუბარია რვა მილიონი ლარის არამიზნობრივ ხარ-**



**ჯვაზე, რაზეც ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღესდღეობით არის ბრალდებული“,** – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

# მირონ ხერგიანი: მაქციების ფუნდრუკი „ჯაველინების“ აკომპანემენტით



**...ბოლო დროს პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა წყეული კოჰაბიტაციის ტყუპისცალის – „სახალხო შერიგების“ იდეა გააჟღერა, რაც სააკაშვილმაც მოიწონა, მაგრამ ძველებურად „შავ სიასაც“ ადგენს: „ამას – სიკვდილი! ამას – ჩამოხრჩობა!“**

– მაიცა, კაცო!.. შერიგებისთვისაც სად სცალია, როცა „მანია გრანდიოზათი“ შეპყრობილი მისი ჭეშმარიტი „მე“ რეინკარნაციული ზეაღმავლობის საფეხურებს მიუყვება და დახეთ, სააკაშვილი უკვე ყოფილა ნელსონ მანდელა, მაჰათმა განდი, ჩე გევარა, დემეტრე თავდადებული, დავით აღმაშენებელი, მაკედონელი, ჰანიბალი, ნაპოლეონი, ჯორჯ ვაშინგტონი, ცოტნე დადიანი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, წმინდა გიორგი... ამჟამად ის ბაბილონის ლეგენდარული მეფის – ტუტანხამონის მძიმე კარმას გადის (მის შესახებ ამ წერილის დასაწყისში გაეცნობოდით) და ბუდას სხივმოსილებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება. სააკაშვილს ნირვანამდე თუ რამე აბრკოლებდა, მეუფე ნიკოლოზის შვიდგზის „შეზეთვამ“ ყოველგვარი მუხრუჭი მოუხსნა და აჰა, საქართველოდან გაუტამა ბუდას გაბრწყინებულ სამყაროში დასამკვიდრებლად ემზადება, თურმე დედით ნახევრად ყაზახი, მამით ნაღდი სომეხი, მაგრამ მაინც „ჩისტაკროვნი გრუზინი“ უკრაინის მოქალაქე მიხაილ სააკაშვილი!.. ბუდასი არ ვიცი და ნეტავი, სააკაშვილი გისოსებიდან კუდიანი ვარსკვლავივით გამოენთებოდეს, კუდად მთელ სანაცეთს გამოიბამდეს და ყველანი ერთად მოუსავლეთში გადაქაჯდებოდნენ!.. ბარათაშვილისა არ იყოს, „ოო, რა თავისუფლად ამოვისუნთქავდით მაშინ! რა ხელმწიფურად გადავხედავდით ჩვენს ასპარეზსა!“



**დევიდ ლენგი: – საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ნამდვილად ღმერთს იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, უბრალოდ, არ არსებობდა!“**

თუმცა, მე თუ მკითხავთ, სააკაშვილს რიჰარდ ზორგეობა უფრო შეეფერება. ისიც კავკასიაში (აზერბაიჯანში) დაიბადა, მასაც განსხვავებული ეროვნების მშობლები ჰყავდა: დედა – რუსი, მამა – გერმანელი, მასაც ამ მუსუსივით, უამრავი საყვარელი ჰყოლია. რაც მთავარია, ზორგე თუ სტალინის პირადი სუპერაგენტი იყო, სააკაშვილი აშკარად პუტინის შნირია: სიტყვით აძაგებს, საქმით ერთგულად ემსახურება. დასტურად, ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის – ლინკოლ მიტჩელის სიტყვები გავიხსენოთ: სააკაშვილმა საქართველოში პუტინს ყველაფერი უმაღლეს დონეზე შეუსრულაო და თავად სააკაშვილის ნათქვამიც გვახსოვს: – პუტინი სხვებზე სანდოა, „მას პატიოსანი ადამიანის თვალები აქვსო.ძ ვინ იცის, ქვეყნის ასარევადაც, „პატიოსანთვალებიანი“ პუტინის შემოგზავნილი იყოს, რომ დასუსტებულმა ქვეყანამ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლოს და საბოლოოდ ისევ რუსულ დათვს ჩაუვარდეს ხახაში. ალბათ, ამიტომაც გვედიდგულება: „პუტინს შეუძლია, მხოლოდ ჩემი ციხეში ჯდომის გამო დაარტყას საქართველოსო“. მისი ბიძის თემურ ალასანიას ამასწინანდელი ვიზიტიც ერთგვარ ეჭვებს აღძრავს. მოულოდნელად შემოჭრილმა, იმ იდუმალი ასტეროიდივით გვერდით ჩაგვიქროლა და არც ის ვიცით, მზია წერეთლის ვაჟიშვილმა თავის გამოზრდილ კაგებეს სერჟანტ დისშვილს – მიშა სააკაშვილს „რა დაუბარა“, მაგრამ ჩანს, ვიზიტის შედეგს უკვალოდ არ ჩაუვლია და ანდროპოვის სკოლაგავლილმა გამოცდილმა კადრმა – ალასანიამ, ნაცების გენერალიტეტის შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანა, რის შემდეგ პროფ. დოდონა კიზირიას მიერ „ყროყინად“ მონათლული ნიკანორ მელია ჩამოალაბორანტეს, მიმჩვარული ნაცპარტია მულტიმილიონერ გენერალოვის ბიზნესპარტნიორ კობა ნაყოფიათი გაანაყოფიერეს და ხელისუფლებაზე მომდევნო რევანშისთვის შეამზადეს...

...აი, ამ დაძაბულ ფაზაშია შეჩერებული ჩვენი ისედაც უამრავი პრობლემებით დახუნძლული ქვეყანა, სადაც უკვე სხვა „ტროიკა“ დათარეშობს, ბევრად გლობალური და სასტიკი: სიძულვილი, უიმედობა, გაჭირვება და იქვე ატორლიალებული მესამეც – ბრმა უვიცობა. ინტელექტუალური კადრები გაბატონებული კლანების მიერ ქვეყნის ცხოვრებიდან კვლავ გვერდზეა გაწეული. მოირყა ქართული სახელმწიფოებრიობის უმძლავრესი ქვაკუთხედი – ოჯახი. ქვეყანა ყელამდეა ჩაფლული საგარეო ვალებში. მომხმარებელი ქვეყნის სტატუსი „ბაბაჯანას ქოშებივით“ ვერ მოვიშორეთ და ამ ლალიანი მიწის პატრონები, ძირითადად ისევ უცხოური გენმოდიფიცირებული პროდუქტით ვიკვებებით. ყოველდღიურად გაძვირებული ცხოვრების, უმუშევრობის ფონზე, ხალხი შავ მუშებად მასობრივად გარბის უცხოეთში. ყველაზე მძიმე დღეში უპერსპექტივობით ორიენტაციააარეული, გალიზიანებული ახალგაზრდები არიან, რას მიაწყდნენ და რა გზას დაადგნენ, უკვე აღარ იციან. იმატა კრიმინალმაც. ბოლო წლებში სასიკვდილო ვირუსმაც შემოგვიტია და როგორც ირკვევა, ამჯერადაც ხვავიან მოსავალს იმკიან ფარმაციის მაფიოზები. აქვე, გვერდით, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი („ძიძგი-ძიძგი მამალოს“ გარედანაც რომ არ აკლებდნენ), უკვე მეტად საშიშ საომარ ფაზაშია შესული. მსოფლიო ბატონობისთვის გიგანტური ქვეყნების ურთიერთქიშპს, მსხვერპლად უდანაშაულო მოსახლეობა ეწირება და სრულიად დაუცველებს, თავადაც რა გვემუქრება, ეშმაკმა უწყის. მოსალოდნელი საფრთხის ასარიდებლად, ხელისუფლებას დანის პირზე უწევს გავლა და ამ დროს ოპოზიცია ყველანაირად ცდილობს, რუსეთთან დაპირისპირებაში საქართველოც ჩაითრიოს, რომ ამღვრეული წყლით როგორმე სათავისოდ ისარგებლოს. თუმცა, რასაც ოპოზიციას ვუწოდებთ, სინამდვილეში მეტად საშიში დესტრუქციული ძალაა, რომელსაც სათავეში „ომის პარტიად“ ჩამოყალიბებული ნაცმოძრაობა უდგას. მაღალჩინოსანი ნაცგენერლები არც მალავენ, რომ მათი ერთადერთი მიზანი ხელისუფლების ჩამოშლა და ნებისმიერი მსხვერპლის ფასად, მართვის სადავეების ხელში ჩაგდებაა. მათი ბოლო საყრდენი რუსეთ-უკრაინის ომია. პუტინი უკრაინას ებრძვის და იქ თავმოყრილი ნაცბანდა აქაურთან უნისონში – საქართველოს ხელისუფლებას. უკრაინაში ცოდვის კალო ტრიალებს და ამათ, ვითომ სოლიდარობის ნიშნად, რუსთაველზე ფუნდრუკი და ტაშფანდურა გააჩაღეს, აიყოლიეს გულფიცხი ახალგაზრდობაც, ხელისუფლების წინააღმდეგ აქეზებენ და სამომავლო შედეგები არ ანაღვლებთ. ზღვარგადასული, თავგაცხელებული გოგო-ბიჭების თავხედობასაც ბოლო არ უჩანს. იობის მოთმინებით აღჭურვილი ხელისუფლება კი გამწვავებას ერიდება და მკვეთრი საპასუხო ქმედებებისგან ისევ თავს იკავებს.

**ოპოზიციამ შეძლო, უდიდესი ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი არათუ პოლიტიკური, საზოგადოებრივი ცხოვრებიდანაც გაერიყა, მაგრამ ვხედავთ სხვასაც: ამ ვირტუოზმა მოთამაშემ დაპირისპირება „საჭადრაკო დაფის“ უხმო, ნერვების ომში გადაიტანა, სადაც „დუმილი რეკავს“ და გონება იმარჯვებს. ამას ოპოზიციის ღრიალა ბანაკიც ჭკუით ვერა და ინტუიციურად გრძნობს და იმასაც ხვდება, რომ მასთან ომს აგებს. „მოსაფიქრებლად 24 საათის ვადას გაძლევ, რომ სააკაშვილი გაათავისუფლოო!“ – გასულ კვირას ივანიშვილს უკრაინიდან მუქარით ავტომატი მოუღერა ვიღაც კომუფლაჟიანმა კაცმა (სავარაუდოდ ყოფილმა ზონდერმა). სხვა ავტომატიანებიც იმუქრებიან და უკრაინიდან ოპოზიციას უფითილებენ: – სასწრაფოდ დაამხეთ ივანიშვილის ხელისუფლებაო!..**

**შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში უკვე მეტად საშიში უსისხლო სამოქალაქო ომია გაჩაღებული. ტელევიზიებსა თუ კომპიუტერის ყუთებში ჩამსხდარი, ქალ-კაციანად ორ ბანაკად გაყოფილი ქართველებიც ერთმანეთს დაუნდობლად თოფავენ და „არ მოგხვდაუა, რჯულძაღლო!“ – ნიშნისმოგებით უყიჟინებენ. წინაპრები რომ წამოახედა – ლენცოფა უჭამიათ და გაგიჟებულან ქართველებიო! – თავ-პირში წაშენით შეიცხადებდნენ...**

აი, ესაა ჩვენი დღევანდელობა...

* * *

**დასკვნისთვის ერთსაც დავამატებ: განვლილი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სხვა ქვეყნების ბრმა მიმბაძველობას ჩვენი ერისთვის დღემდე სიკეთე არ მოუტანია. „სიმართლე თვალის სინათლეაო“ – ვაღიაროთ, რომ ქართული ბუნებისთვის თავსებადი არ აღმოჩნდა მმართველობის ამჟამინდელი (პარტიული) სისტემა. ეროვნული სულიც სწორედ სოკოებივით მომრავლებულმა პარტიებმა შეიწოვეს და გააქრეს.**

გადავავლოთ თვალი, მმართველი პარტიის გარდა, საკანონმდებლო ორგანოში ხალხის რჩეულებად და ქვეყნის ბედის განმსაზღვრელებად, ძირითადად რა კატეგორიის ხალხი გვიზის: ისევ დამნაშავე რეჟიმი („ნაცმოძრაობა“ თავისი განაყოფებით), ახალგაზრდა თაობის ნარკოტიკებით მომსპობი და ეკლესიის შეურაცხმყოფლები (პარტია „გირჩი“), ხალხის ღლეტით გამდიდრებული მევახშეები (პარტია „ლელო“), მაფიოიზები ნაყიდი მანდატებით და ა.შ... ვხედავთ, რომ პარტიული ქოლგა პოლიტიკოსებს ძირითადად გასამდიდრებლად, ანდა იმუნიტეტისთვის სჭირდებათ. ამიტომაა, რომ გუნდური მუშაობის და ქვეყნის წინსვლა-განვითარებაზე ზრუნვის ნაცვლად, საკანონმდებლო ორგანოში გაუთავებელი კაკოფონიაა ატეხილი და ამ ქაოსს ბოლო არ უჩანს. რა უნდა ირწმუნო თუნდაც პარტიის იმ თავკაცის (გვარს არ დავასახელებ), პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან რომ წუწუნებს: „როდემდე უნდა გვეშინოდეს მაღაზიაში შესვლის, ბაზარში შესვლის, კომუნალური გადასახადებისო?“ და ამ დროს იცი, რომ ეს კაცი მარტო 15 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების კრიპტოვალუტის ოფიციალური მფლობელია და თუ სადმე „შედის“, ისიც მხოლოდ კაზინოში აზარტული თამაშებისთვის. დავითვალოთ, ხალხის მდგომარეობით „გულდამწვარი“ კიდევ რამდენი მილიონერი გვიზის პარლამენტში, გაჭირვებულ ადამიანებთან ჩახუტების სელფებთან, ცრუ დაპირებებსაც რომ დაგვიხვავებენ და ბოლოს ყველაფერი ცარიელი ბუშტივით სკდება ხოლმე.

ქვეყანას ჰაერივით სჭირდება დემოკრატიულად არჩეული ეროვნული ხელისუფლების შევსება და გაძლიერება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მაღალზნეობრივი ინტელექტუალური კადრებით, რომელიც, სამწუხაროდ, თვალსაწიერზე ჯერ არ ჩანს და რომც გამოჩნდეს, მის გააქტიურებას ცოცხალი თავით არ დაუშვებენ არც ქვეყნის სასიცოცხლო არტერიებს წურბელებივით მიძაგრებული მაღალჩინოსნები და არც მტაცებელივით ჩადარაჯებული ლიბერასტული კლასტერი...

ამჟამად ჩვენი საზოგადოება უაღრესად პოლარიზებულია, არადა, ქართველი ერი ათასწლეულების ისტორიულ ქარტეხილებს დღემდე სწორედ ერთადერთმა – „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერის“! თვითშეგნებამ გადაგვარჩინა. ახლაც, გლობალიზაციის საზარელ ოკეანეში თვითდინებას მინებებული ქვეყნის ხსნა, ისევ მთელი ერის ერთ მუშტად შეკავშირებასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაშია, მაგრამ ნაირ-ნაირი სულიერი შხამებით გაბრუებულებმა, ეს ერთადერთი მაშველი რგოლიც, უსარგებლო ნივთივით სადღაც მივაგდეთ და მივივიწყეთ. ამიტომაა, რომ თაობები ისე მივდივართ ძაღლუმადური წუთისოფლიდან, ვერც წელში გამართულ ქვეყანას ველირსეთ, თავისუფლებაც ისეთივე მირაჟია, როგორც ნატოს თუ ევროკავშირის შეპირებული წევრობა და რაც მთავარია, გამთლიანებული ქართველი ერის ხილვაც ოცნებად გვექცა. ერთი ასეთი იმედგაცრუებული ჩემი ვაჟიშვილი გიგიც იყო, მტკვარს ნაღვლიანად რომ ჩაეკითხებოდა:

**მაინც, მაინც როგორ, რა ხერხებით შევძლოთ,**
**მაინც, მაინც როგორ დავემსგავსოთ ძველებს?**
**იპასუხე, მტკვარო, იქნებ შენ გამანდო,**
**დიდი საიდუმლო, რაიც გაგვამრთელებს.**

ამას 19 წლის ბიჭი წერდა. 26 წლისაც იმავეზე წუხდა: „ერთადერთი ძალუმი სურვილი მეუფლება, შევარიგო ეს ხალხი, თუნდაც უაღრესად პოლარულნი“ (გ.ხერგიანი „მედიტაციები“) და უკვე 50 წლისამ მარადისობაშიც ეს ტკივილიანი კითხვა გაიყოლა: – ქართველებს რა გაგვამთლიანებსო?

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 41

**P.S.**

**არ მინდოდა, წერილი ასე გულდამძიმებულს დამესრულებინა და იმ სასიხარულო ამბავს გავიხსენებ, სამების ტაძარში შობის დღესასწაულზე, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოულოდნელად რომ გვამცნო: იორდანიის სამეფო ოჯახს მდინარე იორდანეს ნაპირზე, იმ ადგილთან ახლოს, სადაც უფალი იესო ქრისტე მოინათლა, ჩვენთვის 4000 კვ/მ წმინდა მიწის ნაწილი უჩუქებია!.. მაცხოვრის ნატერფალ მიწაზე, სადაც ქართველებმა ისტორიული ძნელბედობით ათეულობით სიწმინდე დავკარგეთ და ერთ დროს ქრისტეს საფლავის მცველები, ჩვენსავე საკუთრებას ღარიბი ნათესავის მორიდებით თუ მივეახლებით ხოლმე, მოხდა გარღვევა და საქართველო მონატრებულ მშობლიურ ქრისტიანულ სივრცეს 300 წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება!..**

**...და ნაცვლად იმისა, რომ ამ ღვთივსათნო ამბით მთელი ერი გახარებულიყო, ოპოზიციური პარტიები პრემიერის, დაიბოლმნენ და თვალებს იბრმავებენ, რომ ამ ხელისუფლების გაკეთებული, ერთიც მცირე სიკეთე არ დაინახონ.**

**– ეგ არაფერს ნიშნავს!.. თუ შნო გაქვს, რუსებს მიტაცებული ტერიტორიები დააბრუნებინე! – ქედმაღლური ირონიით უყიჟინებენ ღარიბაშვილს სწორედ ისინი, ვისი მიზეზითაც დამძიმებული პრობლემების „სიზიფეს ლოდს“ პრემიერ-მინისტრი ჭიანჭველის გულოვნებით შეზმია და ცოცხალი თავით არც იმის აღიარება უნდათ, რუსების მიერ ტერიტორიების მიტაცება და დამატებით მათთვის ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ფეშქაშად მირთმევა, ისევ და ისევ მათი შერეკილი მთავარსარდლის მეცადინეობით რომ მოხდა. ვხედავთ იმასაც, რომ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ბოლოდროინდელმა პროქართულმა ინიციატივებმა, ნაცებს და მათ უცხოელ მფარველებს ელეთმელეთი დამართა და მის წინააღმდეგ მაშინვე ბინძური კომპრომატების აგორება დაიწყეს.**

**არადა, ღვთის ნების გარეშე, სამყაროში არაფერი ხდება და უნებურად მახსენდება ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის დევიდ ლენგის სიტყვები: „საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ნამდვილად ღმერთს იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, უბრალოდ, არ არსებობდა“!..**

**მართლაც, ეს ციცქნა ქვეყანა ჟამთასვლის ქარიშხლებს როგორ გამოაღწევდა, თუ არა ღვთის შეწევნა, მართლაც მისი უზენაესი ნება, ახლაც იმედის მოულოდნელ სხივად რომ გაკრთა წმინდა მიწაზე და ეს ეგებ იმის მინიშნებაც იყოს, რომ მოხდება ის, რაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ მომხდარა: – საქართველო ფერფლიდან ნელ-ნელა ისევ წამოიმართება და იბერია ძველებურად გაბრწყინდება, ანუ, პატრიარქს რომ დავესესხო – „ყველა განსაცდელი წავა და ბედნიერება მოვა“. – ამინ და კირიელეისონ! – პირჯვარი გადავისახე და გულში ბავშვობის დროინდელი მელოდია ამიმღერდა: „ოოლია ლურდე, ოოლია ლურდე, ლალი, ლალი მაიაოსა, ლეი-ჰა! სოლი დაამა-ჰა! კირიავალეი, ვოი-ჰა! კრაასნი ჰადე, კრაასნი ჰადე, ლალი, ლალი, მაიავოსა, ლეი-ჰა!“ – სწორედ ამ გალობით ადიდებდნენ მაღალ ღმერთს ჩემი წინაპრები ქრისტიანულ წმინდა დღეებში და უმცროსებიც ხმას შევუწყობდით ხოლმე, თუმცა, ამ უცხო სიტყვების შინაარსი არავის გაგვეგებოდა, მაგრამ მთავარი რწმენა იყო, რომელიც სწორედ რომ მთებს ძრავს და ბებიაჩემისგან ისიც მახსოვს: წმინდა დღეებში ნატვრა ცხადდება ხოლმეო... ჩვენც შევთხოვოთ მაღალ ღმერთს, რომ ქრისტეშობის მადლმა და ძალამ მითიური ფენიქსივით აღადგინოს, გააბრწყინოს ჩვენი მართალი მრავალჭირგამოვლილი სამშობლო ქვეყანა – საქართველო.**

**– ამინ და კირიელეისონ!..**

**მ. ხ**

# სირცხვილი და საშინელება



## პუტინის რუსეთის ფსიქოლოგიური პორტრეტი

### პატივისცემის, ქვეყნის, გამარჯვების დღისა და პუშკინის შესახებ

** იმ დღეს, 24 თებერვალს, როდესაც უკრაინაში ე.წ. სპეცოპერაცია დაიწყო, მთელი დღე ჩუმად გავატარე... არავისთვის დამირეკავს, არაფრისთვის მიყურებია, არაფერი წამიკითხავს, ლაპარაკიც არავისთან არ შემეძლო. სინდისი მქენჯნიდა. ორი რამ მკლავდა: საშინელების შეგრძნება და სირცხვილი. მეშინოდა, პირველ ყოვლისა, უკრაინელების გამო, ხალხის, ვისაც ეს საშინელება უშუალოდ ეხებოდა. სირცხვილს კი — აუტანელ სირცხვილს, რაღა თქმა უნდა, საკუთარი თავის გამო, არა რუსეთისთვის, არამედ მისი უზნეობის გამო ვგრძნობდი...**

ლაპარაკი არ გამომდის, ბოდიშის მოხდა კი მინდა... უპირველესად უკრაინელების წინაშე, შემდეგ კი მთელი სამყაროს წინაშე.

ვინ იტყვის, რა მოელის ახლა მსოფლიოს? — კარგი არაფერი.

მეორე დღეს, 25-ში ტელევიზიით ახალი ამბების ნახვა მოვახერხე და ინტერნეტით ძველი მეგობრისგან შეტყობინება მივიღე: „რა ხდება? ისინი სისაძაგლეს სჩადიან, სირცხვილით კი მე მრცხვენია! ამ ტალახს ჩვენი შვილთაშვილებიც ვერ ჩამოირეცხავენ!“

აი, ამოიდგა ხალხმა ენა! მაინც გადავწყვიტე, რამდენიმე მეგობრისთვის დამერეკა. პირველმა ყურმილი არ აიღო, მაგრამ პასუხი კი მომწერა: „ვერ ვლაპარაკობ. არ ვიცი, რა ვთქვა. ყველაფერი ცუდადაა. მე მხოლოდ კითხვა მაქვს: როგორ მოხდა, რომ „ჩემს საყვარელ სამშობლოს“, ვისაც კი არ ეზარება, ყველა წიხლავს და ამცირებს?! (ჩემი მეგობარი რუსია და არა უკრაინელი). რატომ იქცა „ჩემი საყვარელი სამშობლო“ საკუთარი და სხვისი შვილების შთანმთქავ, მათი ცხედრების ჩექმებით მწიხლავ ურჩხულად? რატომ, რისთვის? ვის სჭირდება ეს?“

### პატივისცემა...

**საინტერესოა — განა რა არის სიამაყის ასეთი არქონა, რაც კაცს საჯაროდ თავის ესოდენ საშინლად წარმოჩენის საშუალებას აძლევს— ვინ არის ეს კაცი, რომელიც ისე ურევს სიამაყის ცნებას, რომ ამავე სიამაყის გამო თავისმომჭრელ, სამარცხვინო საქციელებს სჩადის, თანაც, არა მხოლოდ პირადულად თავისთვის, არამედ მთელი ერისთვის...**

მე, ცხადია, მის სახელ-გვარს კი არ ვკითხულობ, არამედ იმას — თუ ვინაა ის, როგორც ადამიანი? როგორია მისი ფსიქოლოგიური მახასიათებლები? ვგონებ, შემიძლია ამის ვარაუდი. ვიცი, სხვებსაც შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ მე ჩემსას მაინც გამოვთქვამ.

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავისი მოქცევის მოდელს აგებს, თავდაპირველად მასზე შესაძლო რეაქციას აფასებს. საამისოდ კი საჭიროა დაახასიათოს ისინი, ვის რეაქციასაც ითვალისწინებს, ანუ მისცეს მათ ერთგვარი ფსიქოლოგიური დახასიათება. ასეა, ადამიანები მუდამ იყენებენ ფსიქოლოგიის ამ ბუნებრივ ფორმას, მაგრამ, როცა კაცი არაა პროფესიონალი, არც სათანადო განათლება აქვს, არც ინსტრუმენტი, იძულებულია გამოიყენოს **ინტროსპექცია** — ესაა მისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი მეთოდი... მარტივად რომ ვთქვათ, ეს ისეა, როგორც ადამიანი სამყაროს შეიცნობს საკუთარი თავის შეცნობით. ეს, სხვათა შორის, მეცნიერების მიერ სავსებით აღიარებული მეთოდია, თუმცა კი ნაკლოვანებებს შორის, ყველანი ერთხმად მის უაღრეს არაობიექტურობას აღიარებენ. თან დადგენილია: **რაც უფრო მეტად შეზღუდულია პიროვნება, მით უფრო ნაკლებად ობიექტურია,** რაც ასევე არ საჭიროებს ბევრ მტკიცებულებას. ყველას კარგად გვესმის, რომ **ჩვენი ლიდერი მოტივირებულია „სამშობლოსადმი თავისი სიყვარულით და ის მზადაა, ყველაფერი იღონოს საიმისოდ, რომ მას ყველამ პატივი მიაგოს და არავის არ ჰქონდეს საყვარელი სამშობლოს დამცირების არც უფლება, არც შესაძლებლობა“...** მის ამ მოტივაციას, ვფიქრობ, ყველა ეთანხმება.

მაგრამ აქ ისმება ორი პრინციპული შეკითხვა: „რა არის პატივისცემა?“ და „რა არის დამცირება“?

ამ კითხვებზე პასუხი ჩვენ, ბუნებრივია, პირადულ შეგრძნებებზე დაფუძნებით, აღზრდის ადრეულსავე სტადიაზე ვღებულობთ. **„დამცირების“ მხრივ, საქმე „მარტივადაა“ — შენ მას თავადვე გრძნობ: წარმოიშვება რთული, მეცნიერებისთვისაც ბოლომდე გაურკვეველი, მაგრამ ძლიერი ემოცია — სირცხვილი. „პატივისცემასთან“ დაკავშირებით კი საქმე სხვაგვარადაა. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ მხოლოდ გარშემო მყოფთა რეაქციებისა და საქციელების მიხედვით, თუმცა კი ინტროსპექციის მეთოდით ამ გრძნობის ბუნების გაგება არ შეგვიძლია.** სხვისი პატივისცემის ბუნების გაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა კაცი გაიგებ, თუ რას ეფუძნება საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა. ამდენად, **თუკი კაცს საკუთარი თავისადმი პატივისცემის დამკვიდრება სჭირდება, მან ის საძირკველი უნდა ააგოს, რომელიც მის პირადულ პატივისცემას ეფუძნება.**

აი, რატომაა, რომ ჩვენმა ლიდერმა, რომელიც ცდილობს, მთელი მსოფლიო აიძულოს ჩვენ პატივი მოგვაგონ, სხვა გზა არ იცის, თუ არა აიძულოს ყველა, ეშინოდეს ჩვენი, ვინაიდან შიშის გარდა პატივისცემის სხვა ბუნება მისთვის უცნობია!

### განხეთქილება

**ჩემი ეს მოსაზრებები რამდენიმე მეგობარს გავუზიარე:**

**„შენ რა გიჭირს, — მომწერა მეგობარმა ქალბატონმა, — შენ ქართველი ხარ, მე კი რუსი, მე რაღას ამოვეფარო?“**

**„იცი, არც მე ვგრძნობ თავს დაცულად საკუთარი სინდისისგან, მეც უმალ გავრუსდი“, — მივწერე „რუსს“.**

ჩემი წინამდებარე წერილი რომ მიიღო, რომელიც დავასათაურე „სირცხვილი და საშინელება“, ძველმა მეგობარმა მიპასუხა: „სათაური შეესატყვისება ჩემს მდგომარეობას“.

მე მივწერე: „შინაარსს დაუკვირდი, იქნებ რაიმე ისე არაა, ანდა, სულაც, ყველაფერი სხვაგვარადაა?“

მან მიპასუხა: „ჩემი შინაარსიც სწორედ ასეთია, შემოწმება საჭირო არაა! მაგრამ წავიკითხავ და შევადარებ“.

შეადარა კიდეც და აი, რა მომწერა: „მესმის შენი და გითანაგრძნობ, მაპატიე, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ბოროტების რაციონალიზების მცდელობისა და მოვლენათა ახსნის ძიებაში, შენ პრინციპულ შეცდომას უშვებ! გაიგე, რომ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა მარადიულია, მთავარია ეშმა კი არა, ოდენ კაცი, არამედ ერთიანად ბოროტებაა, ის დემონია! თანაც ასეთი იყო ყოველთვის, დროთა განმავლობაში კი მისი შესაძლებლობები მატულობდა და ბოლოს ქვეყნიერების ბოროტებამდე გადიდდა! ადამიანური ლოგიკით მისი გაზომვა საჭირო არ არის! ბოროტება აუცილებელია აღმოიფხვრას, თანაც მეშვიდე მუხლამდე!..

ბოროტებამ იცის ამის შესახებ, ამიტომაც კიდევ უფრო არაადამიანურად იქცევა...

**სიკეთე და ადამიანურობა ვალდებული არიან აღმოფხვრან უკიდეგანო სიბოროტე საერთო ძალისხმევით, რამეთუ კაციჭამია მხოლოდ იქ შეჩერდება, სადაც მას შეაჩერებენ! ამას სჭირდება დრო და კრიტიკულად განწყობილი მასა, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე მოგროვდა. უკეთურობა დაეცემა და გადარჩენილები მოინანიებენ, ჩვენ კი მათ შევუნდობთ და შევიბრალებთ...**

ოღონდ, იმათ გულწრფელად მოინანიონ!“

ეს არ იყო ერთადერთი კრიტიკა. აი, კიდევ ერთი მეგობრის წერილი:

„ვერ დაგეთანხმები, შენ პრინციპულ შეცდომას უშვებ. რუსეთის ინტელიგენციას ერთი რამ ღუპავს — ვითარების შეფასება მაინცდამაინც ინტელექტის თვალსაზრისით (ტყუილად როდია იგი „ინტელიგენცია“!) — ამაში მდგომარეობს მისი უმთავრესი შეცდომა. იმის მაგივრად, რომ თავისი „მძლავრი“ ტვინით მოირგოს ქუჩის ჯიბგირის შეგნება, ინტელიგენტი ჰიპოთეზებს აგებს სამყაროს სიმების დონეზე“...

ამ დროს კი ქვეყანა უკვე აბობოქრებულია, თუმცა კი ყველანი ერთ აზრზე როდი არიან! ისინიც კი, ვინც ბოროტებას ერთსა და იმავე თავში ხედავენ, მას სხვადასხვანაირად ხსნიან და განსხვავებულად აფასებენ.

**მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ (კი ბატონო, სხვისთვის — მიმიფურთხებია!), რომ იგი საკუთარ ხალხსაც გახლეჩს. არ შეიძლება არ სცოდნოდა — ეს ძალზე მარტივი პროგნოზია. ასე რომ, ეს არაა გულგრილობით გამოწვეული შემთხვევითობა, არამედ დაგეგმილებიდან ერთ-ერთი შედეგი — გამოევლინა და გაეყო, ემართა მხოლოდ სასურველი ხალხის მეშვეობით. ახლა რა უნდა უყონ ამ გამოვლენილებს — მოიცილონ და მართონ დარჩენილები, თუ უბრალოდ იცოდნენ — ვინ ვინ არის? ვნახოთ, თუ რა მოიფიქრეს მისმა „ნაქებმა გენერალურმა კონსტრუქტორებმა“, როგორი იქნება ახლა ეს ქვეყანა“.**

### ქვეყანა

**კიდევ ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც კრიტიკულად განწყობილ კაცად ვცნობ, მათ შორის ხელისუფლების მიმართაც, მოულოდნელად „სპეცოპერაციის“ გამამართლებელი პოსტი გამოაქვეყნა.**

— იცი რა, — მითხრა, — ერთი კაცისთვის ცნება „ქვეყანა“, ესაა ადამიანთა საზოგადოება და მაშინ მნიშვნელობა აქვს თითოეულის რეაქციას — სწორედაც „იმ ერთი ბავშვის ცრემლს“, მეორისთვის კი, ესაა გეოპოლიტიკური ცნება და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღების დროს ამ ადამიანთა მიერ აღიარებული ფასეულობებიც და მიზნებიც მისთვის სხვაა.

ტელეფონით საუბრისას მას ხშირად შევკამათებივარ, ახლა კი ასე ვუპასუხებ:

**დიახ, ცნება „ქვეყანა“, რაღა თქმა უნდა, უნდა იყოს გეოპოლიტიკური, მაგრამ ცნება — „სამშობლო“ არ შეიძლება იყოს ასეთი! იმიტომ, რომ სამშობლო ხდება ის ქვეყანა, რომლის მიმართ კაცი გარკვეულ გრძნობებს განიცდი. გრძნობა კი, ეს არა გეოპოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური ან ბიოლოგიური ცნებაა, რომელიც ყველა შემთხვევაში არა დედამიწის რელიეფისთვის ან მერიდიანებისთვის, არამედ განსაკუთრებულად მხოლოდ ცოცხალი არსებებისთვისაა დამახასიათებელი... ამდენად, თუკი „სამშობლოზე“ ვილაპარაკებთ, აქ „ბავშვის ცრემლის“ გარეშე არაფერი გამოვა, თუ რა თქმა უნდა, კაცს მისთვის არ მიგიფურთხებია... თუმცა, მოდით, ბავშვს შევეშვათ — იტირებს და გაჩერდებაო, მაგრამ სხვებს რა ვუყოთ — ჩვენს უფროს თანამემამულეებს?**

**გადაწყვეტილების მიმღები, მაშასადამე მასაზე პასუხისმგებელი, როგორც ვხედავთ, მზად იყო შედეგებისთვის: იმისთვისაც, რომ მის თანამემამულეებს ცხოვრებაში რთული დრო დაუდგებოდათ, იმისთვისაც, რომ მთელი მსოფლიო მისი გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქნებოდა, ასევე იმისთვისაც, რომ მისი თანამემამულეები, ამ დღიდან მოყოლებული და კიდევ ვინ იცის, რამდენ ხანს, მთელი მსოფლიოს მტრებად იქცეოდნენ.** არა, ისინი კი არ არიან მტრები, მაგრამ მისი გადაწყვეტილების გამო მათ ყველანი ასეთებად აღიქვამენ. განა საკითხავია — რისთვის? — არა! გასაგებია, რისთვისაც! მაგრამ ახლა ლაპარაკი ამაზეა, რომ მან, იცოდა რა ყოველივე, გაბედულად და თამამად მიიღო გადაწყვეტილება. მართლაც რომ გასაკვირი რწმენა და გამბედაობაა!

გამბედაობაზე თუ ვილაპარაკებთ, ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ **ამ კაცში პატივისცემის პირადული გრძნობა მთელი ცხოვრების მანძილზე შიშს ეფუძნებოდა. ამას მხოლოდ ის შეიძლება დავამატოთ, რომ კაცი, ვის ზურგს უკანაც დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჯარი დგას, რომელსაც ყველაზე დიდი ბირთვული არსენალი აქვს, ის კი, იმის შიშით, რომ ჩვენ აგრესია გვემუქრება (ვისი აგრესია, ჩვენთან შედარებით პატარა და უსუსური უკრაინის მხრიდან?) მთელი რიგი რევოლუციისგან ისედაც დაუძლურებული ქვეყნისგან?** ვთქვათ, მისცემენ ამერიკელები მათ რაღაც რაკეტებს, მაშინაც კი, შენ ღონიერს, განა რისი უნდა გეშინოდეს— ესაა გაბედული ნაბიჯი? გამბედაობის შესახებ ამით ვამთავრებ, ხოლო რაც შეეხება დამაჯერებლობას, მე კი დიდი ხანია ვიცი, რომ **რაც უფრო გონიერია ადამიანი, მით უფრო მეტადაა მიდრეკილი დაეჭვებისკენ. ჩემი თუ არ გჯერათ, იქნებ სხვისა იწამოთ:**

„დამაჯერებლობას უფრო ხშირად უვიცობა წარმოშობს, ვიდრე ცოდნა“ (ჩარლზ დარვინი)

„ისინი, ვინც სავსებით დარწმუნებულნი არიან,



სულელები არიან, ისინი კი, ვისაც თუნდაც რალაც წარმოსახვა და გაგება შეუძლიათ, ეჭვებითა და გაუბედაობით არიან შეპყრობილნი“ (ბერტრან რასელი)

ჰოდა, აი რას ვფიქრობ: **მსოფლიო უნდა მივიდეს იქამდე, რომ კაცს, რომელიც თავის კანდიდატურას სახელმწიფოს მმართველის თანამდებობაზე წამოაყენებს, ამიერიდან დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური ტესტირება უნდა ჩაუტარდეს.**

დიდად დასანანია, რომ დღევანდელ ფსიქოლოგიას არ შეუძლია ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა...

## გამარჯვების დღე და პუშკინი

**ინტერნეტში ერთი პოსტი შემხვდა: „რუსული ჯარის დღე რუსეთმა ისე აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიო ახლა შიშით მოელის გამარჯვებისა და საჰაერო-სადესანტო ჯარების დღეებს“.**

ეს ამბავი ერთ ჩემს მეგობარს მოვუყევი, მან კი მოულოდნელად მითხრა:

— იცი, გამარჯვების დღე მეტი აღარ იქნება, არა, რა თქმა უნდა, კალენდარული დღე კი დარჩება, მაგრამ ჩვენ ამ გამარჯვებით უწინდელივით ველარ ვიამაყებთ. ეს უკანასკნელი იყო, თუკი რამ შემოგვრჩა, ახლა კი ყველა ლაპარაკი ევროპის გათავისუფლების შესახებ, ტალახშია ამოთხვრილი, ამდენად ფუჭია. ყველაფერი შესაცვლელია — საკუთარ თავშიც და ირგვლივაც, პუშკინიც თავიდანაა გამოსაგონი. საშინელი ამბავია...

## სირცხვილი

**ერთი ჩემი ნაცნობი, 2014 წელს ყირიმის აღებით ამაყობდა, ამერიკელებს რატომღაც შეურაცხმყოფელად „პინდოსებს“ ეძახდა. ბოლო წლებში ბევრი იმოგზაურა, ბევრი ქვეყანა ნახა. დამირეკა და მოულოდნელად ლაპარაკი დამიწყო საშინელ სირცხვილსა და რაღაცის გაკეთების აუცილებლობაზე. მომიყვა, რომ უკრაინაში თავის მეგობარს დაურეკა ამბის გასაგებად და იმან უპასუხა, რომ იარაღს ურიგებენ და რომ „ჩვენ მოსკოვამდე მოვალთ, დედას გიტირებთ, ჩათლახებო!..“ და სხვა ამგვარი. მე ვუთხარი, ყველანი არა ვართ ჩათლახები-თქო, იმან კი მპასუხა — „აბა, მაშინ ჩუმად რატომ ხართ?“**

— იცი, — მითხრა ჩემმა ნაცნობმა, — რაღაცნაირად უნდა გავამჟღავნოთ ჩვენი პოზიცია, გავიდეთ მიტინგებზე, ბარიკადებზე! მათ არ უნდა ეგონოთ, რომ ყველანი ასეთები ვართ!“

დიახ, ჩვენ დაგვაშინეს, ჩვენში ხელისუფლების პატივისცემა დანერგეს, მაგრამ, ჩვენ ვდუმვართ არა მხოლოდ ამიტომ... მაინც რატომ არ შეგვეძლო გველაპარაკა მეგობრებს ერთმანეთში, ეს ხომ საჯაროდ არ მოხდებოდა? არა, ჩვენ იმდენად დაშინებულები არა ვართ, რომ პირადი საუბრების მოსმენისა გვეშინოდეს. უბრალოდ, ჩვენ გვესმის, რომ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. ჩვენ არ შეგვიძლია ზემოქმედება მოვახდინოთ ამ გადაწყვეტილებაზე. ის არ შეცვლის თავის ჩანაფიქრს იმიტომ, რომ მისთვის ეს დამარცხების აღიარების ტოლფასი იქნება. შენ კი ამ დროს, შეიძლება ჩაგსვან. ამიტომაც, ყოველივე სრულიად უსარგებლო აქტივობა გამოგივა.

## და მაინც...

**მთავარი სათქმელი „ნოვაია გაზეტას“ მთავარმა რედაქტორმა, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა დიმიტრი მურატოვმა თქვა: სხვა გზა არ არის, მსოფლიოს იმ მდგომარეობიდან გადასარჩენად, რომელშიც ის რუსეთმა მოიმწყვდია, მხოლოდ რუსეთის ანტისამხედრო მოძრაობას შეუძლია. თანაც გადაარჩინოს არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მსოფლიო.**

მე მგონია, რომ დღეს ყველაზე მთავარი სწორედ ესაა!

## ისევ პუშკინის შესახებ

**დიმიტრი მურატოვი მუდამ ოპოზიციონერი იყო, რასაც იგი აკეთებს და ლაპარაკობს, ეს ვალის მოხდა კი არ არის თანამდებობის, ანდა მიღებული ნობელის პრემიის გამო, არამედ ამას იმიტომ აკეთებს, რომ სხვაგვარად არ შეუძლია, იმიტომ, რომ სხვაგვარად უზნეობას დასწამებდნენ...**

მე კი ნამდვილი ოპოზიციონერი არასდროს ვყოფილვარ, რადგან პოლიტიკას არასდროს მივყოლივარ, თუმცა კი ყოველთვის ვთვლიდი, რომ „ჩვენ“ და „ხელისუფლება“ — ორი სხვადასხვა რამეა. დღეს ეს თქმა უფრო კონკრეტულად ჟღერს, დაახლოებით ასე: „ჩვენ — პუტინი არა ვართ“, იმ აზრით, რომ „რუსეთი — ეს არაა პუტინი“.

ის უკრაინელი კაცი კი, რომელმაც თქვა, რომ „მოსკოვამდეც მოვა და ჩვენ ყველასაც მოგვკითხავს...“, სხვაგვარად თვლის, რადგან ჩვენ ხმას არ ვიღებთ, მაშასადამე თანახმანი ვართ, ესე იგი პუტინთან ერთად ვართ და ასე ბევრს ჰგონია, რის საფუძველიც აქვთ. ისინი ფიქრობენ: „რუსეთი-პუტინს“! მათ თუ ეს არ იციან, ხომ უნდა ესმოდეთ მაინც, რომ ეს ასე არ არის?

მაგრამ, განა საიდან უნდა იცოდნენ, თუკი ჩვენ არაფერს ვაკეთებთ?!

თუმცა კი რისი გაკეთება შეგვიძლია, ჩვენ ხომ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია!

— არა, თქვენ შეგიძლიათ! — იტყვით თქვენ.

— მაგრამ, განა „თქმა“ რისი მაქნისია?

— განა „თქმა“ „გაკეთებას“ არ ნიშნავს?

— მაგრამ, რა ვთქვათ? ყველაფერი ხომ ისედაც ცხადია! ერთმანეთში ჩვენ ლაპარაკი არ შეგვიძლია — ვაღიაროთ ერთმანეთთან, რომ სათქმელიც ბევრი არაფერი გვაქვს!

თუმცა, ახლა კი ვიფიქრე, რომ ბევრი ლაპარაკიც საჭირო არ არის, საკმარისია ითქვას აი, რა:

"Россия НЕ Путин"
или
"Россия ≠ Путин"

ჰოდა, მერე ჩემი მეგობრის სიტყვები გამახსენდა, რომელმაც თქვა, რომ პუშკინის ხელახლა „გამოგონებაც“ მოგვიწევს. პუშკინს კი ყველა იცნობს, მეც კიდევ ვიფიქრე:

"Россия - Пушкин"
или
"Россия не Путин, а - Пушкин"
или
"Россия = Пу~~т~~шкин"
то есть:
"Russia = Pu~~t~~shkin"

ახლა კი ჩემი ყოფილი მოწაფის შეტყობინება მივიღე, რომლის დედამ, ცნობილმა მხატვარმა ირინა ზატულოვსკაიამ, რომლის ნახატები უკვე გამოფენილია ტრეტიაკოვის გალერეაში, ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში გამოფინა თავისი ნამუშევარი სახელწოდებით „რუსეთი — ეს არაა პუტინი“.

ასეა ნამდვილად: ყველაფრის მიუხედავად, რუსეთი, მაინც არა პუტინი, რუსეთი პუშკინია!..

**გია ბერძენიშვილი,**
**მოსკოვი-თბილისი.**

## განწვეული იყო, მაგრამ... არ წასულა!

**ამ ამბავმა დიდი აურზაური გამოიწვია ქართულ პოლიტიკაში. იყო ბევრი ვაი-ვიში და ხელისუფლების მისამართით საყვედურები, თითქოსდა ის ცუდად ეპყრობა, ანდა სულაც მხარს არ უჭერს „მოძმე ხალხს“ უკრაინაში.**

მაინც რა მოხდა? აღმოჩნდა, რომ დაახლოებით 60 კაცი, ვინც საქართველოდან უკრაინაში საბრძოლველად მოხალისედ წასვლას თებერვლის მიწურულს აპირებდა, ქვეყნიდან ვერ გავიდა, რადგან ხელისუფლებამ კერძო თვითმფრინავის თბილისში ჩამოფრენის ნებართვა არ გასცა, რომლითაც ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა თავის ქართველ კოლეგას ირაკლი ღარიბაშვილს ქართველ მოხალისეთათვის მათთან ჩასვლის უფლების გაცემასთან დაკავშირებით ტვიტერის სოციალურ ქსელში ქართულად, უკრაინულად, ინგლისურად და, წარმოიდგინეთ, რუსულადაც კი მიმართა. მაგრამ, საქართველოს ხელისუფლებამ, რომლის წარმომადგენელთა აზრით, მოხალისეთა უკრაინაში ჩასვლა უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებაში უშუალო ჩარევად შეიძლებოდა შეფასებულიყო, ამ საკითხს ჯეროვანი სიფრთხილით მიუდგა და თვითმფრინავი არ მიიღო. ერთი სიტყვით, ისევე მოიქცა, როგორც მანამდე პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა ქვეყნები.

შედეგად, მარტის დამდეგს, საქართველოში უკრაინის ელჩი იგორ დოლგოვი კიევში კონსულტაციებისთვის გაიწვიეს, თანაც პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ვერდიქტი ამის თაობაზე ერთობ მკაცრი იყო: „დაუყოვნებლივ ვიწვევთ საქართველოდან ჩვენს ელჩს იმ დაბრკოლებების გამო, რომლებსაც მოხალისეები, რომლებიც ჩვენთვის დახმარების აღმოჩენას ცდილობენ, წინააღმდეგობებს აწყდებიან, ასევე სანქციების მიმართ უზნეო პოზიციისთვის“.

— მაგრამ, საქართველოს ხომ არ დაუმსახურებია ასეთი სიტყვები! — იტყვის ნებისმიერ საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული კაცი. „თბილისმა უკვე გაგზავნა უკრაინაში 3 ათას ტონაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება“, — ჯერ კიდევ 15 მარტს განაცხადა საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრეი კასიანოვმა და ამას გულწრფელი სამადლობელი სიტყვებიც მოაყოლა.

მაშ, რა საჭირო იყო ელჩის გაწვევა?

გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ელჩის გაწვევამ კიდევ უფრო მეტად დაძაბა ისედაც დაძაბული მდგომარეობა ქვეყანაში. ოპოზიციონერებმა ერთი ამბავი ატეხეს ამის გამო — 14 მარტს პარტია „გირჩის ლიდერმა იაგო ხვიჩიამ ისიც კი თქვა, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ის საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად აღარ თვლის, ასეთად კი მხოლოდ ვოლოდიმირ ზელენსკის მიიჩნევს... იმ დრამატული დღის მთავარი მოვლენა კი თავად სალომე ზურაბიშვილის „მეგობრისა და კოლეგის“ ვოლოდიმირ ზელენსკისადმი მიმართვა გახდა, რომელშიც მან „ამ უმძიმეს წუთებში ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის სავსებით განსამტკიცებლად“, ელჩის დაბრუნებისკენ მოუწოდა.

არადა, ყველა ამ სიტყვიერი შეხლა-შემოხლისა და კინკლაობის მონაწილეს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ საქართველოში უკრაინის ელჩი იგორ დოლგოვი, რომელიც, როგორც ყველას ეგონა, კიევში იყო გაწვეული, სინამდვილეში... არსად არ წასულა და მთელი ამ ორი კვირის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა. ყველას ეგონა, რომ იგი გაწვეული იყო თბილისის გარკვეულ მოქმედებათა გამო გამოხატული პროტესტის ნიშნად, მაგრამ, ვინაიდან ის არსად წასულა, შესაბამისად, არც თავად პროტესტი ყოფილა. მაგრამ, თუკი პროტესტი არ იყო, მაშინ სად და რატომ გაქრა ასე მოულოდნელად ელჩი ?

მიდი და იჭყლიტე ახლა ამაზე ტვინი!

ასევე ძნელია იმის თქმა, თუ რამ აიძულა ელჩი იატაკქვეშეთიდან გამოსვლა: კიევიდან მიღებულმა ნიშანმა თუ მრავალრიცხოვანმა თბილისურმა თხოვნამ? ასე იყო თუ ისე, 15 მარტს, ბატონი დოლგოვი მოულოდნელად მიადგა თბილისში უკრაინის საელჩოს შენობას, რაც ქართველმა ტელეჟურნალისტებმა გადაიღეს. ამის თაობაზე უკმაყოფილება არ დაუმალავს ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ა. კასიანოვს.

ბატონმა კასიანოვმა განაცხადა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუყოვნებლივ შეატყობინებენ საქართველოში ელჩის დაბრუნების ამბავს. თუმცა კი უცნობია, თუ როდის გააახმოვანებენ ამ შეყოვნებას.

ქართულმა ოპოზიციამ, რომლისთვის ბატონ დოლგოვის გამოჩენა ასევე მოულოდნელი გახდა, უმალ დაიწყო იმის მტკიცება, რომ იმაში უცნაური არაფერია, რომ გაწვეული უკრაინის ელჩი სინამდვილეში კიევში კი არ წასულა, არამედ მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა. ნეტარ არიან მორწმუნენი! თუმცა, ჰიპოთეტურადაც კი რომ წარმოვიდგინოთ, რომ ელჩის გაწვევა ქვეყნიდან მის ფიზიკურ წასვლას არ გულისხმობს, რა საჭირო იყო ასეთი „ფეხიანი ტყუილის“ თქმა, თითქოსდა მან თბილისი დატოვა?



**ვადიმ ანასტასიადი,**
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.

# ორგანიზაციის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიმდინარე წელს განახორციელა სხვადასხვა სახის პროექტები ქველმოქმედების მიზნით. პროექტებს შორის აღსანიშნავია მაშტაბური პროექტი შშმ პირთათვის ეტლების, სასიარულო ჩარჩოების, ყავარჯნებისა და ხელჯოხების ბენეფიციართათვის უსასყიდლოდ გადაცემის პროექტი, რომელსაც ასოციაცია მრავალი წელია ახორციელებს დონორ პარტნიორებთან ერთად. მჰწ გაფორმდა მორიგი მემორანდუმი ურთიერთშეთანხმების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო ასოციაციას „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ შორის. რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის ეტლების და სხვა გადასაადგილებელი საშუალებებით დახმარებას. მიმდინარე წელს ორგანიზაციამ სხვა და სხვა მუნიციპალიტეტს გადასცა 595 ეტლი და 60 სხვადასხვა გადასაადგილებელი საშუალება. ორგანიზაციამ დმანისის მუნიციპალიტეტის ორი საბავშვო ბაღის 50 აღსაზრდელს (სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები) უსასყიდლოდ გადასცა ტანსაცმლი, ფეხსაცმლი და საბავშვო წიგნები. მორიგი ღონისძიება განხორციელდა ააიპ „იმედი-2014“ რომლის ძირითადი საქმიანობა მოხუცთა და მიუსაფართა მოვლა პატრო ნობაა. მათ აქვთ თავშესაფარი, სადაც დღე-ღამური მოვლის რეჟიმში 26 მოხუცია გაერთიანებული (16 ქალი და 7 მამაკაცი). მათი უმრავლესობა მიუსაფარია და მძიმე ავადმყოფობის გამო საჭი როებენ ინდივიდუალურ მოვლას. ასოციაციის წევრები გაეცნენ თითოეული ავადმყოფის მდგომარეობას და საჭიროების მიხედვით უსასყიდლოდ გადასცს 5 ეტლი, ტანსაცმელი ფეხსაცმელი (60 კგ.) ასევე თავშესაფარს გადასცეს კვების პროდუქტები (ბურღულეული, ზეთი და შაქარი) და მეორეული ლეიბები, საბნები, ბალიშები, თეთრეული და პლედები. შემდგომი ღონისძიება განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში, სადაც ორგანიზაციის წევრებმა სოციალურად დაუცველ ოჯახებს 0-3 წლამდე ასაკის ბავშვვებისთვის ჩიტანეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სათამაშოებით (სულ 40 ბავშვი). მრავალპროფილურ კლინიკას „ვივა მედი“ გადაეცა 10 სხვადასხვა ზომის ეტლი, აღნიშნული კლინიკა მომსახურეობას უწევს ომის ვეტერანებს, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ასოციაციას შორის გაფორმებულია მემორანდუმი რომლის ფარგლებშიც საჭიროებისა და მოთხოვნის მიხედვით ორგანიზაცია მუდმივად აწვდის შშმ ვეტერანებისათვის საჭირო გადაადგილების საშუალებებს, პერიოდულად ახორციელებს რეგიონებში ექიმთა ბრიგადების ჩაყვანას მათი გამოკვლევებისა და გასინჯვის მიზნით. ლენტეხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მორიგი ქველმოქმედება შშმ ბენეფიციარებს გადაეცათ 20 ეტლი, 4 ხელჯოხი და სასიარულო ჩარჩო ბაგა-ბაღების არსაზრდელებისთვის სათამაშოები, ასაწყობი სახლი, წიგნები, გასაფერადებელი ალბომები, ასევე, სოციალურად დაუცველ 15 ოჯახს (მათ შორის მრავალშვილიანებს) დაურიგდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მორიგი ღონისძიება ჩატარდა თელავში, სადაც შშმ პირთათვის ეტლების გადაცემა განხორციელდა 8 ბენეფიციარზე. იმავე დღეს ახმეტის მუნიციპალიტეტის 8 ბენეფიციარს გადაეცეა ეტლი, ხოლო საბავშვო ბაღებს გადაეცათ სათამაშოები, ასაწყობი ლეგოები, საბავშვო წიგნები და მეთოდური ლიტერატურა. აგრეთვე გურჯაანის მუნიციპალიტეტის 39 შშმ პირისთვის მოხდა საინვალიდო ეტლების უსასყიდლოდ გადაცემა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ორგანიზაციამ უსასყიდლოდ გადასცა სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს ეტლები, სასიარულო ჩარჩოები, ხელჯოხების და ყავარჯნები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილატიცო ცენტრისთვსი დონორი პარტნიორების მეშვეობით შეძენილი იქნა სამედიცინო აპარატურა (ელექტრო ფორეზი) რომელიც მოემსახურება სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებს რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სხადასხვა მისიებში და გადიან მკურნალობას ამ ცენტრში. მორიგი ღონისძიება ჩატარდა ქუთაისის საავადმყოფოებში სადაც კოვიდ პაცენტები იწვნენ, IG and company-ს გადაეცა 6 ეტლი, უნიქალ მედი გადაეცა 3 ეტლი, საავადმყოფო ბომონდი გადაეცა 5 ეტლი. ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა დონორ პარტნიორებთან ერთად ქალაქ კასპში სადაც 22 შშმ პირს გადაეცა 22 ეტლი, აგრეთვე დონორი პარტნიორების და ჩვენი შუამდგომლობით დაფინასდა პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისთვის, საჭიროების მიხედვით შეიძინეს საწოლები, სკამები და მაგიდები რომელიც გადანაწილდა 28 საბავშვ ბაღზე. დონორი პარტნიორების მეშვეობით განხორციელდა პროექტი სიღნაღისა და წნორის უმწეოთა სასდილოს აღჭურვა სამზარეულ ტექნიკით. მორიგი ღონისძიება ჩატარდა რაჭაში რომელიც ითვალისწინებდა ეტლების დარიგებასა და მორგებას, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 21 შშმ პირს უსასყიდლოდ გადაეცათ ეტლები, ამავე მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღს გადაეცა სათამაშოები და საბავშვო წიგნები. ონის მუნიციპალიტეტის შშმ პირებს გადაეცათ 22 ეტლი. საინვალიდოეტლები გადაეცა თბილისის შემდეგ საავადმყოფოებს: სს ევექსის ჰოსპიტლები 7 ეტლი, აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა 15 ეტლი, ციციშვილის სახელობის ბაშვთა კლინიკა 2 ეტლი.

წარმატებით გრძელდება პროდუქტების დარიგების პროექტი რომელიც ითვალისწინებს 28 მარტოხელა მოხუცი ბენეფიციარისთვის ყოველ თვე კვების პროდუქტების წიწიბურა, მაკარონი, (შაქარი, ზეთი, შვრიის ფანტელი, ბრინჯი) უსასყიდლოდ გადაეცემას, ხოლო „შობა — ახალი წლის დღესა სწაულიდან აღდგომამდე“ პროექტისთვის ბენეფიციარებს დამატებით გადაეცათ კამფეტები და ნამცხვრები.

ასოციაცია კვლავ განაგრძობს პროექტებში მონაწილეობას და საქველმოქმედო სქმიანობის განხორციელებას.

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ს/ნ 203845009

ბალანსი

2021 წლის

| № | დასახელება | აქტივი | პასივი |
|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებები | 284272 | |
| 2 | ძირითადი საშუალებების ცვეთა | | 179485 |
| 3 | მომწოდებელზე გადახდილი ავანისი | 192152 | |
| 4 | ეროვნული ვალუტა სალაროში | 5427 | |
| 5 | ეროვნული ვალუტა ბანკში | 1895 | |
| 6 | მიმდინარე წლის ფინანსური ზარალი | 12996 | |
| 7 | მოკლევდიანი ფინანსური დაბანდება | 1000215 | |
| 8 | სარეზერვო კაპიტალი | | 1000215 |
| 9 | საკუთარი რეზერვი | | 192152 |
| 10 | მიღებული შემოწირულობა | | 99113 |
| | | | |
| | სულ ბალანსი | 1470965 | 1470965 |

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები

მშვიდობისა და სიცოცხლისათვის

მოგება -- ზარალის უწყისი

2021 წელი

| № | შემოსავლები | |
|---|---|---|
| 1 | მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით | 280470 |
| 2 | სასაქონლო მარაგების ნაშთი | 99403 |
| 3 | ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი | 88172 |
| | სულ შემოსავალი | 291701 |
| | ხარჯები | |
| 1 | ხელფასი | 47440 |
| 2 | ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი და დასუფთავება | 1725 |
| 3 | დარიცხული ამორტიზაცია | 7806 |
| 4 | ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტი | 2444 |
| 5 | საწვავის ხარჯი | 7757 |
| 6 | ქონების გადასახადი | 1170 |
| 7 | საქველმოქმედო ხარჯები შემოწირული | 232969 |
| 8 | სხვა ხარჯები | 3386 |
| | სულ ხარჯები | 304697 |
| | მოგება | -12996 |

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის

ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

2021 წლის

| № | შემოსავლები | |
|---|---|---|
| 1 | მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით | 280470 |
| 2 | საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგები | 99403 |
| 3 | ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი | 88172 |
| | სულ | 291701 |
| | ხარჯები | |
| 1 | ხელფასი | 47440 |
| 2 | ელ. ნერგიის ხარჯი | 442 |
| 3 | საკომუნიკაციო ხარჯები | 863 |
| 4 | საწვავის ხარჯი | 7757 |
| 5 | კომუნალური ხარჯი | 1283 |
| 6 | საქველმოქმედო ხარჯები | 232969 |
| 7 | სარეკლამო ხარჯი | 785 |
| 8 | ძირ.საშუალებ მიმდინარე რემონტი | 2444 |
| 9 | საკანცელარიო ხარჯი | 311 |
| 10 | დარიცხული ამორტიზაცია | 7806 |
| 11 | ქონების გადასახადი | 1170 |
| 12 | სხვა ხარჯები | 1427 |
| | | |
| | სულ ხარჯები | 304697 |
| | სულ მოგება | -12996 |

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

№ დ /03-01 26 მარტი 2022 წ.

აუდიტორმა ნოდარ კვანტალიანმა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სარეგისტრაციო ნომრით **SARAS-A-680113** (სერტიფიკატი ზ№5/496 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს) საერთაშორისო ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე მოვახდინე 2021 წლის წლიური ანგარიშის, მოგება ზარალის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2021 წელში ასოციაციის მიერ მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 291701 ლარი.

მათ შორის: მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით - 280470 ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაშთად არსებული სასაქონლო მარაგები – 99403 ლარი, ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი 88172 ლარი.

ასოციაციის მიერ გაწეული ხარჯები შეადგენს – 304697 ლარს.

აღნიშნული თანხები გახარჯულია მიზნობრივად. ამორტიზაცია დარიცხულია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით. საბიუჯეტო გადასახადები გადარიცხულია დადგენილ ვადებში. სამეურნეო წლის შედეგად მიღებულია ზარალი 12996 ლარი.

2022 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 104787 ლარს.

საერთაშორისო ასოციაცია " საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" 2021 წლის აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მომქმედი კანონმდებლობის დაცვით, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება –ზარალის ანგარიშგება შეესაბამება პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებს.

ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სისწორე დადასტურებულია ჩემს მიერ.

სერთიფიცირებული აუდიტორი: /ნ.კვანტალიანი/



# პუტინი კიევზე შტურმისთვის არ ემზადება

**პენტაგონის ინფორმაციით, რუსული საოკუპაციო ჯარი კიევზე შტურმისთვის არ ემზადება და თავდაცვით პოზიციებს იკავებს.**

ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთმა უკრაინის მიმართულებით 1250 რაკეტა გაუშვა, რუსული თვითმფრინავები კი ყოველდღიურად 300-მდე ფრენას ახორციელებენ.

**„ხარკოვზე რუსული ჯარის შეტევა წარუმატებელია, მიმდინარეობს ბრძოლები კიევის ოლქში, დასახლება მაკაროვის გაკონტროლებისთვის. რუსი სამხედროები ნიკოლაევიდან 15 კილომეტრში დგანან და ქალაქის ბლოკადაში მოქცევას ცდილობენ. გარდა ამისა, რუსულმა ჯარმა გაარღვია მოწინააღმდეგის პოზიციები ქალაქ იზიუმთან და დონბასის მიმართულებით გადაადგილდებიან“,** — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა.

# რუსეთი სპეცოპერაციის პირველი ეტაპით კმაყოფილია

**უკრაინაში საომარი მოქმედებების ერთი თვის თავზე რუსეთი აცხადებს, რომ „სპეცოპერაციის“ პირველი ეტაპის ძირითადი ამოცანები შესრულებულია. საგანგებო განცხადება გენერალური შტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ გააკეთა.**

სერგეი რუდსკოის თქმით, უკრაინის საბრძოლო პოტენციალი საგრძნობლად არის შემცირებული, რაც საშუალებას იძლევა, ძალისხმევის ფოკუსირება მთავარი მიზნის მიღწევაზე — დონბასის გათავისუფლებაზე მოხდეს. მისივე განცხადებით, რუსმა სამხედროებმა დაბლოკეს ქალაქები კიევი, ხარკოვი, ჩერნიგოვი, სუმი და ნიკოლაევი, სრულად აკონტროლებენ ხერსონის ოლქს და ზაპოროჟიეს ოლქის დიდ ნაწილს.

# ხვალ რა მოხდება, არავინ იცის!..

(მეორე გვერდიდან)

## „თითქოს რუსეთიდან ქალები და ბავშვები შემოდიან, სინამდვილეში, თბილისი სავსეა კარგად ნავარჯიშევი, ბრგე რუსი ვაჟკაცებით“

**ჯერ ამას იმდენად ვერ ვგრძნობთ, ხვალ და ზეგ უფრო დავინახავთ. მთელი მსოფლიო, ფაქტობრივად, საომარ რეჟიმშია, ეს არ არის რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება, რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარეობს ცხელი ომი და ამაში ჩართულია არა მარტო მთელი დასავლეთი, არამედ იაპონია, ავსტრალია, კორეა, მეტ-ნაკლებად ყველა განვითარებული ქვეყანა. ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია, ოღონდ ჰიბრიდული, შერეული, ცივი ომისა და ცხელი ომის ნაზავი, რაღაც ასეთი კონგლომერატი. ეს ბუნებრივად გამოიწვევს ეკონომიკურ ვარდნას მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს, საქართველოში, რადგან უკრაინა და რუსეთი ჩვენი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ, უკრაინაში ახლა გაგანია საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და რომელ ვაჭრობაზეა საუბარი?“,** — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

მისივე თქმით, გაუგებარია, რა ბედი ელის რუსეთში დარჩენილ ჩვენს მოსახლეობას, ფულადი გზავნილები ისევ ჯიბით უნდა გადმოიტანონ, ანუ 90-იან წლებს უნდა დავუბრუნდეთ? ცხადია, ეს გარკვეულ დაძაბულობას შექმნის საქართველოშიც, ეკონომიკურ ვითარებას გააუარესებს, ინფლაციას მოამატებს და ფასების ზრდა დაიწყება. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, ეძებენ ხოლმე „დამნაშავეს“. ასე რომ, რუსების და ბელორუსების ძალიან დიდი ნაკადი თუ შემოვა, ამან რუსოფობია შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში.

ვახტანგ ძაბირაძის აზრით, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ შემოდის საქართველოში. კონტროლირებადი და რეგულირებადი უნდა იყოს ეს პროცესი. ხელისუფლებამ ის მაინც უნდა გააკეთოს, შემოსვლის წინ დეკლარაცია შეავსებინოს, ვინ არის, რას წარმოადგენს, რამდენ ხანს აპირებს აქ ყოფნას და რა საქმიანობას აპირებს ეს ადამიანი.

* * *

დემოგრაფი **ანზორ სახვაძე** მიიჩნევს, რომ დემოგრაფიული ასპექტი რუსების და ბელარუსების შემოსვლას ნაკლებად აქვს, რადგან ისინი იმ რაოდენობით არ შემოსულან, რომ ჩვენს დემოგრაფიაზე აისახოს. კაცმა არ იცის, როდის დამთავრდება ომი უკრაინაში, შეიძლება ხვალ დამთავრდეს, ან ერთი კვირის შემდეგ. თანაც, რუსების გამრავლების ტემპი ქართველების გამრავლების ტემპზე ნაკლებია. ასე რომ, დემოგრაფიულად ისინი საქართველოს მოსახლეობას ვერ გადაასწრებენ.

**„განა რამდენი უნდა შემოვიდეს, რომ თითქმის 4 მილიონამდე ადამიანზე მეტი გახდნენ რუსები? ეს წარმოუდგენელია თვალსაწიერ მომავალში და დემოგრაფიული ეფექტი ამ მოვლენას არ ექნება. რაც შეეხება იმას, შემოსული რუსები დივერსანტები არიან თუ არა, ვინ რა სულისკვეთების არის, კეთილმოსურნეა თუ არა, ეს სპეცსამსახურებმა უნდა დაადგინონ. მათ შუბლზე არ აწერიათ, ტერორისტები არიან თუ არა“,** — გვითხრა ანზორ სახვაძემ.

მისივე აზრით, უნდა დავაკვირდეთ, რა კონტინგენტი ჩამოდის საქართველოში. თუ ჩამოდის ბავშვიანი ოჯახი, ეს სხვა მდგომარეობაა, თუ ჩამოდის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, შეიძლება ჯარს არიდებდეს თავს. ხვალ რა მოხდება და გამოიყენებს თუ არა პუტინი მათ, არავინ იცის. განა ერთი თვის წინ ვინმე მოელოდა, რომ ომი დაიწყებოდა უკრაინაში? ყველაფერი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება.

**მანანა ნოზაძე**

ბრავო!



# ევროპელთაგან საუკეთესო

**საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა. სპორტულ წყვილებში კარინა საფინამ და ლუკა ბერულავამ ორივე სატურნირო დღეს ღირსეულად იასპარეზეს და მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში 191.74 ქულით პლანეტის პირველობაზე მე-4 ადგილზე გავიდნენ.**

მსოფლიო ჩემპიონატების დონეზე სპორტულ წყვილებში და არა მარტო, ასეთი მაღალი შედეგი საქართველოს ფიგურული ციგურაობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა!

ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მე-4 და 2022 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მე-9 პოზიციით, კარინა საფინამ და ლუკა ბერულავამ თავიანთი მაღალი სპორტული რეიტინგი დაადასტურეს. მათ უფროსების კატეგორიაში 2022 წლის სპორტული სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

საფინა-ბერულავას სპორტულმა წყვილმა ეს ჩემპიონატი ევროპელ სპორტულ წყვილებს შორის პირველი პოზიციით დაასრულა და საპრიზო ადგილები მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და კანადის წყვილებს დაუთმო.

გეტყვით, რომ ამ შედეგით საქართველომ მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ორი სპორტული წყვილით მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

მედლების მეორე კომპლექტი ქალთა კატეგორიაში გათამაშდა, სადაც 27 ქვეყნის 31 სპორტსმენს შორის ასპარეზობდა ქართველი მოციგურავე **ანასტასია გუბანოვა**.

ანასტასიამ მე-4, უმაღლესი დონით შეფასებული ყველა სავალდებულო ტექნიკური ელემენტის უშეცდომოდ შესრულებისა და პროგრამის წარმოდგენის შედეგად ორი პროგრამის ჯამში მსაჯებისაგან 196,61 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა და მხოლოდ იაპონიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებს ჩამორჩა, რაც უდავოდ მაღალი შედეგია ანასტასია გუბანოვასათვის, რომლისთვისაც ეს მსოფლიო ჩემპიონატი პირველია მის კარიერაში.

ამასთან, მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა კატეგორიაში მე-6 ადგილი უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ისტორიაშიც.

დღეს გათამაშდება მედლების კომპლექტები მამაკაცთა და სპორტული ცეკვების კატეგორიაში, სადაც იასპარეზებენ **მორის ყვითელაშვილი** და **მარია კაზაკოვასა** და **გიორგი რევიას** წყვილი.



# საფეხბურთო მოზაიკა

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ახალი სეზონი და ზენიცაში შარშან შემოდგომაზე საფუძველჩაყრილი მოგებათა სერია ბოსნიასთან ზედიზედ მეოთხე გამარჯვებით გააგრძელა — 1:0. გადამწყვეტი გოლი კვარაცხელიას პასით ზივზივაძემ გაიტანა.**

თამაშის შემხედვარეს, ძალაუნებურად დაგებადებოდა კითხვა — როგორ გვისწრებენ მასპინძლები რეიტინგშიო, რადგან ისინი საკმაოდ პრიმიტიული ტაქტიკით გვიტევდნენ და მიზნის მიღწევას მხოლოდ „ინტერის“ სნაიპერ ჯეკოსკენ მაღალი ბურთების ჩაკიდებით ცდილობდნენ. ერთ ეპიზოდში ამ უმაღლესი კლასის თავდამსხმელმა ზუსტადაც დაგვირტყა, მაგრამ მსაჯებმა, ჩვენდა სახეიროდ, არარსებული თამაშგარე გამოიგონეს.

ბალკანელებს „მილანის“, „მარსელის“, „ბორდოს“, „ფრაიბურგისა“ და სხვა წონიანი კლუბების ლეგიონერებიც ჰყავთ, მაგრამ პიანიჩის არყოფნაში მხოლოდ უკვე მიმავალი ჯეკოს იმედზე იყვნენ მაშინ, როცა ჩვენ მომავალი კვარაცხელია გვყავს. აღსანიშნავია, რომ ნაკრებიდან წასულ კანკავას გარდა, ჩაკვეტაძე, ოქრიაშვილი და კიტეიშვილი გვაკლდა.

ხვალ ტირანაში ალბანეთს ვხვდებით.

* * *

**დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირმა შოთა არველაძემ გუშინ გლაზგოს „აიბროქსის“ სტადიონზე „რეინჯერსის“ 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მატჩში ითამაშა და ისეთ ლეგენდებს გაუწია პარტნიორობა, როგორებიც არიან გასკოინი, დე ბური, ვან ბრონჰორსტი, მოოლსი, ფერგიუსონი და ბოიდი, ხოლო მსოფლიოს ნაკრებს ლუიშ ფიგუმ უკაპიტნა და მის სპორტულ ღირსებას რობერტო კარლოსი, მაკელელე, კინი, კორდობა, პირესი, მიატოვიჩი, კარვალიო და ჰაჯი იცავდნენ.**

შეგახსენებთ, რომ „ტყუპი“ შოტლანდიურ გრანდში 2001 წელს ჩაირიცხა და ორ-ორჯერ გახდა როგორც ქვეყნის ჩემპიონი, ისე ასოციაციისა და ლიგის თასების მფლობელი. აი, მისი გულითადი სტრიქონები:

**„მადლობა ორგანიზატორებს მიწვევისთვის. ეს შეხვედრა ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან იმ კლუბის მრგვალ თარიღს უკავშირდება, სადაც შესანიშნავი პერიოდი გავატარე და არაერთი ტიტული მოვიპოვე. ამ ქალაქსა და სტადიონზე დაბრუნება ყოველთვის მახარებს“.**

* * *

**იტალია ზედიზედ მეორედ დარჩა მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა. არადა, მის ქომაგებს როგორი იმედი ჰქონდათ, რომ ევროპის პირველობის მოგება და წაუგებელ შეხვედრათა 37-მატჩიანი სერია „სკუადრა აძურას“ რენესანსის დასაწყისი იქნებოდა.**

რობერტო მანჩინის გუნდის კატასტროფას საფუძველი ყატარის მუნდიალის შესარჩევი რაუნდის ჯგუფური ტურნირის დროს ჩაეყარა, როცა ჟორჟინიომ შვეიცარიელებთან ერთბაშად ორი პენალტი გააფუჭა, ხოლო ყველაფერს წერტილი პალერმოში დაესვა, სადაც აპენინელებმა საბედისწერო პლეიოფი ჩვენს მწარე ნაცნობებთან — ჩრდილოეთ მაკედონიელებთან სენსაციურად დათმეს — 0:1. ასე რომ, სტატისტიკური უპირატესობა: კარში დარტყმები — 32:4, კუთხურები — 16:0 წლების შემდეგ არავის გაახსენდება.

მსგავს ხვედრს გადაურჩა პორტუგალია, რომლის კარშიც 1:2-ზე დანიშნული პენალტი არაზუსტად დაარტყა თურქთა ლიდერმა ილმაზმა, მატჩი კი საბოლოოდ 3:1 დასრულდა.

შვედეთი — ჩეხეთი 1:0 (დამატებით დროში), უელსი — ავსტრია 2:1. ასე რომ, ხვალ კარდიფში კიდევ ერთ საგზურს უელსი და შვედეთი გაითამაშებენ.

არანაკლებ დრამატულად ვითარდება მოვლენები სხვა კონტინენტებზეც. ასე მაგალითად, აზიაში გადაბარგებულმა ავსტრალიამ შინ ყოფნა-არყოფნის მატჩი წააგო იაპონიასთან — 0:2 და ყატარში მოსახვედრად რთული საკონტინენტთაშორისო პლეი-ოფების დაძლევა მოუწევს, რათა ამომავალი მზის ქვეყანას, საუდის არაბეთს, ირანსა და სამხრეთ კორეას შეუერთდეს.

რაც შეეხება სამხრეთ ამერიკას, იქ უკვე კარგახანია თავი ქუდში აქვთ ბრაზილიასა და არგენტინას, ხოლო დანარჩენი საგზურების მფლობელთა ვინაობას ხვალინდელი ბოლო ტური დაასახელებს.

ომი და მშვიდობა

# ცსკა-ში არ დავბრუნდები

**საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და „ვირტუს ბოლონიას“ კალათბურთელმა თორნიკე შენგელიამ ბერძნულ გამოცემა gazzeta.gr-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც მოსკოვის ცსკა-დან წასვლის შესახებაც ისაუბრა.**

როგორც მან აღნიშნა, რუსულ გუნდში გადასვლით შეცდომა დაუშვა და ომის დასრულების შემდეგ მოსკოვურ გუნდში დაბრუნებას არ აპირებს.

**— გვიამბეთ ცსკა-ს დატოვების გადაწყვეტილების შესახებ...**

— ყველა ამბობს, რომ ეს რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ




ასე არ ყოფილა. უპირველესად ჩემს ოჯახზე ვფიქრობდი, რომელიც საფრთხის წინაშე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ომი მოსკოვში არ ყოფილა. ომის დროს არასდროს იცი რა მოხდება, ერთი წამიც საკმარისია რაღაც რომ მოხდეს. ჯერ ჩემი ოჯახი წავიყვანე და შემდეგ მეც წავედი.

**— თქვენს გადაწყვეტილებაში როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ საქართველოდან ხართ?**

— რა თქმა უნდა, ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ვიღაც იკითხავს, რატომ წავედი მანამდე ცსკა-ში სათამაშოდ? მოსკოვის ცსკა-მ 4-წლიანი კონტრაქტი შემომთავაზა და მანამდე არ დავთანხმდი, სანამ კონტრაქტში არ ჩავაწერინე, რომ საქართველოს ნაკრებში გამიშვებდნენ. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვთამაშობთ და მინდა გუნდს დავეხმარო. ცსკა ევროპის ერთ-ერთი ტოპ-კლუბია, ევროლიგის მოგების იდეაც მიმზიდველი იყო, თუმცა, გადაწყვეტილების მთავარი მოტივი საქართველოს ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა იყო. ახლა ვხვდები, რომ ეს არ იყო საკმარისი მიზეზი იქ წასასვლელად მიუხედავად იმისა, რომ ყველამ — პრეზიდენტმა, თანაგუნდელებმა, მწვრთნელებმა ყველაფერი გააკეთეს, თავი კომფორტულად რომ მეგრძნო. მინდა მათ ამისთვის მადლობა გადავუხადო. თუმცა, მე არ ვიყავი იგივე ადამიანი, იგივე მოთამაშე, რაც მანამდე. ვცდილობდი მაქსიმუმი გამეკეთებინა, მაგრამ ემოციურად იქ არ ვიყავი.

**— დაბრუნდებით თუ არა ცსკა-ში, როდესაც ომი დასრულდება?**

— არა, არ დავბრუნდები. ომი რომ დამთავრდება, ცსკა-ში არ დავბრუნდები.

**— როგორ მოხვდით „ვირტუს ბოლონიაში“?**

— ეს იყო ერთ-ერთი პირველი გუნდი, რომლისგანაც წინადადება მივიღე. ვუყურე ევროთასზე ამ გუნდის მატჩებს. მომწონს მისი თამაში, კალათბურთელები, მწვრთნელი. ეს იყო ელემენტები, რამაც გადაწყვეტილება გააადვილა. ასევე, ყოველთვის მინდოდა იტალიაშიც მეთამაშა და ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა.

**— დარჩებით თუ არა მომდევნო სეზონშიც „ბოლონიაში“, არის ჭორები „ბარსელონაზეც“...**

— ჩემს არჩევანს ღიად ვტოვებ. არ მინდა ემოციურ ფონზე გრძელვადიან პერსპექტივაში გადაწყვეტილების მიღება. აქ სეზონის ბოლომდე დავრჩები და მერე ვნახავ, რა იქნება.

**— რუსული გუნდები არა მარტო კალათბურთში, საერთაშორისო ტურნირებიდანაც გააძევეს. კმაყოფილი ხართ სპორტული სამყაროს ასეთი რეაქციით?**

— რამდენიც უნდა ვთქვათ, რომ პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივე არ არის, რამდენადაც არ უნდა გავმიჯნოთ ცალკეულ სიტუაციებში, ეს არ შეიძლება. ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ, რადგან ვიცი, რომ სპორტულ ორგანიზაციებში ბევრი ადამიანი ომის მომხრე არ არის, მაგრამ ახლა ვხედავთ ვინ იტანჯება — უკრაინელი ხალხი და არა სპორტული ორგანიზაციები, ამიტომაც ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

**— გყავთ მეგობრები რუსეთში ან უკრაინაში, ვისთანაც ურთიერთობას ინარჩუნებთ?**

— რა თქმა უნდა, ბევრი ქართველი ცხოვრობს რუსეთსა და უკრაინაში. ჩემი რამდენიმე თანაგუნდელიც გუნდში დარჩა და თამაშს აგრძელებს. ყველასთვის ტრაგიკული სიტუაციაა და არავის უნდა ომის ქარ-ცეცხლში იყოს.

**— როგორია ილიას ზუროსთან და მის ასისტენტ გეორგიოს ლიმნიატისთან მუშაობა?**

— მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია ზუროსსა და გეორგიოსზე. ერთმანეთს პატივს ვცემთ. გვინდა მიზნებს ეტაპობრივად მივაღწიოთ. უპირველესად მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა გვინდა და რა თქმა უნდა, წინ დიდი გამოწვევა გვაქვს — ევროპის 2022 წლის ჩემპიონატი, რომელიც საქართველოში ჩატარდება.

**— ევროთასზე და „ვირტუსზეც“ ვისაუბროთ. ფავორიტები ხართ, როგორც შარშან. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ ჩემპიონობა?**

— ფავორიტები ვართ, მაგრამ ვიცით, რომ კალათბურთის თამაში ყველა გუნდს შეუძლია და მეტოქის დაუფასებლობა არ შეიძლება. თუ მეტოქეს პატივს არ სცემ, შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

ოვალური ბურთი

# დებიუტი გადაიდო

**ძარის თასზე „შავი ლომის“ დებიუტი 2 აპრილამდე გადაიდო. მიზეზი კენიის „სიმბასია“, რომელიც სამხრეთ აფრიკაში ვერ ჩავიდა...**

ამრიგად, გუშინ გასამართავი შეხვედრა გაუქმდა. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, თუმცა დიდი ალბათობით, „შავ ლომს“ კენიელებთან მოგება ჩაეთვლება. რადგან ჩვენი გუნდისთვის შედეგზე უფრო მეტად სათამაშო პრაქტიკაა საინტერესო, „შავი ლომი“ ალტერნატიული ვარიანტის გამონახვას და ამხანაგური მატჩის გამართვას ეცდება. ამ წუთისთვის დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „შავი ლომი“ ძარის თასის პირველ შეხვედრას 2 აპრილს გამართავს და მისი მეტოქე ზიმბაბვეს „გოსჰოქსი“ იქნება.

### აშშ – საქართველოსთან თავისუფალ ვაჭრობაზე:

# ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაცია ამ დროისთვის შიდა ეკონომიკის გაძლიერებაზეა ორიენტირებული




**„ამ დროისთვის ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაცია ჩვენს შიდა ეკონომიკის გაძლიერებაზეა ორიენტირებული“** – ამის შესახებ **„აქცენტს“** სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების პერსპექტივებზე საუბრისას განუცხადა.

**„აშშ ცდილობს, გამოავლინოს შესაძლებლობები, როგორც ამერიკული კომპანიებისთვის საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად, ისე ორივე ქვეყნისთვის, ივაჭრონ ერთმანეთთან საქონლითა და მომსახურებით. შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებასა და ორმხრივ სავაჭრო და საინვესტიციო ჩარჩო შეთანხმებას. „პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს შეუძლია, შეერთებულ შტატებში მრავალი დასახელების პროდუქტის ექსპორტი უბაჟოდ განახორციელოს. ამ დროისთვის ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაცია, სანამ რაიმე ახალ სავაჭრო გარიგებას დადებს, ამერიკელ მუშახელში ინვესტიციების ჩადებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების გზით, ჩვენი შიდა ეკონომიკის გაძლიერებაზე რჩება ორიენტირებული“,** – განუცხადა **„აქცენტს“** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა და დასძინა: „სახელმწიფო დეპარტამენტი, კონკრეტული მექანიზმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლის ოფისთან (USTR), რათა საუკეთესოდ განვავითაროთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსთან. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს USTR (ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლის ოფისი) ხელმძღვანელობს“.

ცნობისთვის: 2012 წლიდან შეერთებული შტატები და საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობას პერიოდულად განიხილავენ. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნას, ინვესტიციებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ღონისძიებებს ითვალისწინებს.

დღეს საქართველოს აშშ-თან ვაჭრობის შეღავათიანი რეჟიმი აქვს – GSP (Generalized System of Preferences – პრეფერენციების განზოგადებული სისტემა). ეს რეჟიმი 3 ათასზე მეტი დასახელების ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ GSP (Generalized System of Preferences – პრეფერენციების განზოგადებული სისტემა) რეჟიმი მუდმივმოქმედი არ არის და პერიოდულად გადახედვას ექვემდებარება. მასთან შედარებით, თავისუფალ ვაჭრობას ის უპირატესობა აქვს, რომ თითქმის ყველა დასახელების საქონელს შეეხება. გარდა ამისა, ეს რეჟიმი მუდმივმოქმედია, რაც ინვესტორებისთვის სტაბილურობის გარანტიას ქმნის.

### ჩეჩენი „მოხალისე“ „კადიროველების“ ალჭურვილობაზე საუბრობს




# გვაძლევენ ტყვიამფრქვევს და მხოლოდ ოთხ მჭიდს – „უკრაინელებს წაართმევთო“

**უკრაინის შეიარაღებული ძალების სპეცრაზმ „აზოვის“ ერთ-ერთმა დანაყოფმა გამოაქვეყნა ვიდეოინტერვიუ სავარაუდო ჩეჩენ სამხედრო ტყვესთან, რომელიც საუბრობს მარიუპოლის მახლობლად ფრონტზე არსებულ ვითარებაზე და ჩეჩნეთის რესპუბლიკის კრემლის მიერ ხელდასხმულ ლიდერ რამზან კადიროვს მოუწოდებს, უკრაინასთან საომრად საკუთარი ნათესავები გაგზავნოს.**

კაცი ყვება, გროზნოდან 17 მარტს აფრენილი თვითმფრინავი 18 მარტს დაეშვა მარიუპოლის მახლობლად, სადაც ის იმავე დღეს ჩავარდა ტყვედ.

**„თითიც არ დაუკარებიათ, მითხრეს, სიმართლე თქვიო და მეც ვამბობ: თქვენ უკეთ გვკვებავთ, ვიდრე ისინი – ძეხვი მოგვცეს და მორჩა. გვაძლევენ (ე.წ. ჩეჩენ მოხალისეებს უკრაინაში გაგზავნისას) ერთ ტყვიამფრქვევს და ვაზნების მხოლოდ ოთხ მჭიდს. გეუბნებიან, „იქ უკრაინელებს მოკლავ და წაართმევო“. რა, უკრაინელებს სძინავთ და ამბობენ, „მიდით, გვესროლეთო?!“. ჩეჩნებზე და რუსებზე უკეთ, გამოცდილად იბრძვიან – გამოცდილები არიან და მეტი საბრძოლო სულიც აქვთ. ასევე გავიგე, რომ აქ ჩეჩნების კოლონა თავად რუსებმა დახოცეს. გგონიათ, რომ ისინი აქ იბრძვიან? არა, ისინი შეყარეს საზარბაზნე ხორცად. კადიროვს პირველ რიგში მივმართავ, ნუ კლავ ხალხს, რატომ არ უშვებ აქ შენს ვაჟს, შენს ნათესავებს? დაე მათ იბრძოლონ. სხვებსაც უნდა ცხოვრება. „ვიბრძოლოთ რუსეთისთვისო“. რატომ? რუსეთმა უარესი დამიშავა. აქ ძლიერი ბრძოლაა. იმდენი ჩეჩენის ცხედარი ვნახე. ცხედრებს სახლშიც არ გზავნიან“!**

* * *

შვედეთში მცხოვრებმა ოპოზიციონერმა ჩეჩენმა ბლოგერმა ტუმსო აბდურახმანოვმა გამოაქვეყნა, სავარაუდოდ, ამავე მოხალისის ფოტო, რომელზეც იგი აღბეჭდილია სამხედრო ფორმით და საარმიო ზურგჩანთით. ამოსაცნობ ნიშნებს შორის ფოტოზე ჩანს მხოლოდ სამკლავური, რომელზეც ჩეჩნეთის დროშაა გამოსახული. რუსეთსა და ჩეჩნეთში კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სხვათა შორის, უკრაინაში ჩეჩნეთიდან გაგზავნილი მებრძოლების არაპროფესიონალიზმისა და ცუდი მომზადების შესახებ პრორუსი სეპარატისტების ბატალიონის მეთაურმა ალექსანდრე ხოდაკოვსკიმ ისაუბრა, თუმცა შემდეგ საკუთარი სიტყვები უარყო.

უკრაინაში გაგზავნილი ჩეჩენი მებრძოლების მოტივაციაზე ცნობილ რუს ჟურნალისტს **ალექსანდრ ნევზოროვსაც** ჰკითხეს.

**„ეს არის ხალხი, რომელიც ისტორიული მეხსიერებით, ტრადიციებით ცხოვრობს, რომელიც დაფუძნებულია ძველ და არც თუ ძველ მოვლენებზე. არაფერს არ წერენ, მაგრამ ინახავენ საკუთარ ეთნოს, საკუთარ ტრადიციებს, საკუთარ განსაკუთრებულობას. მაგრამ ვიყავი რა მოწმე და მონაწილე იმის, რაც ხდებოდა ჩეჩნეთის ორივე ომში, რად აქცევდა რუსეთი ჩეჩნეთს, რა რისხვით, ბარბაროსულად, მოუთმენლად, ხარბად ახორციელებდა საკუთარ ქმედებებს, არანაირად არ გამომდის, გავიგო და დავიჯერო რუსეთისადმი დღევანდელი მსახურების გულწრფელობა ჩეჩენი ხალხის. ჩემთვის გაუგებარია, ასეთი რამ როგორ შეიძლება, დაივიწყო; როგორ უნდა გადახვიდე მთელი ძალებით, ემოციებით გადახვიდე იმის მხარეს, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ ასეთ რამეს სჩადიოდა ჩეჩნეთში. ვეჭვობ, საქმე გვაქვს აღმოსავლურ, კავკასიურ პირფერობასთან, რომელიც მოულოდნელად მიბრუნდება იმ მხარეს, რომლის წინასწარმეტყველებაც ჩვენ არ შეგვიძლია“,** – ამბობს ჟურნალისტი.

---



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და ესეისტი, მრავალი სახელმწიფო და ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, დიდებული ოჯახის მამა და ბაბუა, უიშვიათესი პიროვნული ხიბლით გამორჩეული ქართველი პატრიოტი და მამულიშვილი**

## დილარ ივარდავა

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს.**

---

## მაგული ბაქრაძე



**ჩაჩავას კლინიკის ექიმთა საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი ექიმი – მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი, კლინიკის მემატიანე, ქალბატონი მაგული ბაქრაძე.**

**ქალბატონი მაგული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კ. ვ. ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში.**

**როგორც თვითონ იტყოდა – ის „პატარა გოგო“ მოვიდა კლინიკაში და მთელი მისი ცხოვრება ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს, საყვარელ კლინიკას და თავისი ცოდნა და გამოცდილება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს შეალია. გამორჩეული იყო დიდი ენერგიით, პროფესიონალიზმით, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობით და კეთილსინდისიერებით. ის თავის მრავალწლიან გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა ექიმებს, მასწავლებელი იყო არამარტო სპეციალობაში, არამედ მათი ცხოვრებისეული საკითხების ბრძენი დამრიგებელიც.**

**ქალბატონი მაგულის დახმარებით ასობით ახალი სიცოცხლე მოევლინა სამყაროს.**

**ქალბატონი მაგული ჩართული იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში, იგი იყო 75 სამეცნიერო შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, დახმარებას უწევდა რაიონში მომუშავე ექიმებს სპეციალობის დაუფლებაში. წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის მდივანი.**

**ქალბატონი მაგული იყო დიდი ოჯახის დიასახლისი, არაჩვეულებრივი ქალიშვილისა და 3 შვილიშვილის აღმზრდელი.**

**ქალბატონი მაგულის ღირსეული სახელის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.**

**მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.**

**ჩაჩავას კლინიკა; საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია**

---

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

# თელავი თეატრალებს მასპინძლობდა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა მინისტრის პირველ მოადგილესთან კახა სიხარულიძესთან ერთად სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებთან გასვლითი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გოგი გეგეჭკორი, შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შალუტაშვილი და სამინისტროს წარმომადგენლები.**



შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქართული თეატრის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს. კულტურის მინისტრი თითოეული სამხატვრო ხელმძღვანელისგან პირადად გაეცნო მის თეატრში არსებულ პრობლემებს და მოცემული პრობლემების გადაჭრაზე იმსჯელა, მათ შორის სამინისტროს მხარდაჭერით.

**თელავში ვიზიტის ფარგლებში თეა წულუკიანი შეხვედრის მონაწილეებთან ერთად დაესწრო სიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ სპექტაკლს „როცა ძალიან მოგენატრები“ და თეატრის დასს შეხვდა. ერთმოქმედებიანი დრამა „როცა ძალიან მოგენატრები“ თელავის თეატრისა და თავისუფალი თეატრის ერთობლივი სპექტაკლია, რომელიც რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა დადგა მწერლისა და დრამატურგის ირაკლი სამსონაძის მიერ სპეციალურად თელავის თეატრისთვის დაწერილი პიესის მიხედვით.**

სპექტაკლში მონაწილეობენ თელავის თეატრის მსახიობი ვანო იანტბელიძე და თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი პაატა გულიაშვილი. მხატვარი - მირიან შველიძე, მუსიკალური გაფორმება — ავთანდილ ვარსიმაშვილი.

პიესაში გადმოცემულია მამა-შვილის ურთიერთობა მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე. სპექტაკლი სევდიანი ფსიქოლოგიური კომედიაა, თუმცა სრულდება ოპტიმისტურად.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.





# უკრაინის სოლიდარობის ნიშნად

**საინიციატივო ჯგუფი — „ძალა ხალხშია“ უკრაინას ქუთაისიდან სოლიდარობას უცხადებს. ჯგუფის ინიციატივითა და მხატვარ დავით აბულაძის შესრულებით ქუთაისში, თამარ მეფის გამზირზე, მეცხრე სკოლასთან კედელი მოიხატა.**

**„არა ომს“** — ასე ჰქვია კომპოზიციას. ნახატზე გამოსახულია უკრაინელი ბავშვი, რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

**„საინიციატივო ჯგუფის მთავარი სათქმელიც ესაა. არა ომს, არა ბავშვების ხოცვას, არა ოკუპაციას და არა ბოროტებას!**

**დიდება უკრაინას!**

**დიდება საქართველოს!“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ვარძიაში სამხედრო ფიცი დადეს

**საქართველოს თავდაცვის ძალებს სამხედრო მოსამსახურეების მორიგი ნაკადი შეემატა. რეკრუტებმა სამხედრო ფიცი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილას, ვარძიის სამონასტრო კომპლექსთან დადეს. პირადმა შემადგენლობამ ვარძიამდე სიმბოლურად დროშებით 1203 წელს ბასიანის ბრძოლაში მიმავალი ქართული მხედრობის მიერ განვლილი გზა გაიარა.**

ფიცის დადებამდე რეკრუტებმა საბრძოლო მომზადების (BCT) რვაკვირიანი კურსი ახალქალაქში მდებარე უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის ცენტრში გაიარეს. პროგრამის ფარგლებში მათ სამწყობრო, საცეცხლე, სამედიცინო, ტაქტიკური მომზადება ჩაუტარდათ. დღეიდან ისინი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობებში გაივლიან. პირად შემადგენლობას მნიშვნელოვანი დღე წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილემ, პოლკოვნიკმა მალხაზ დუმბაძემ მიულოცა და საქართველოს წინაშე ღირსეული სამსახური უსურვა.



# „ახალი წყალტუბო“ იუბილარია

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ გამოცემიდან 85 წლის საიუბილეო თარიღი გაზეთის რედაქტორს მურთაზ კანკაძეს მიულოცეს, მადლობის ბარათი და სიმბოლური საჩუქარი გადასცეს.**

წყალტუბოს მერიის ინფორმაციით, ღონისძიებაზე მოწვეულმა ახალგაზრდებმა ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის სერგეი მესხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ლექცია მოისმინეს და წყალტუბოში ბეჭდური მედიის განვითარების ისტორიას გაეცნენ. **„გაზეთ „წყალტუბოს“ პირველი ნომერი 1937 წელს გამოიცა. გაზეთს 40 წელია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი მურთაზ კანკაძე რედაქტორობს. ამ ეტაპზე გაზეთი „ახალი წყალტუბო“ მუნიციპალიტეტში ერთადერთ ბეჭდურ მედიას წარმოადგენს და კვირაში ერთხელ გამოიცემა“.**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითა და სულით ულოცავს კოლეგებს საიუბილეო თარიღს!**

# თელაველთა საყვარელი ჟურნალი „ოლე“

**მკითხველმა** მიიღო ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2022 წლის პირველი ნომერი. ჟურნალი იხსნება **მაყვალა მიქელაძის** მრავალმხრივ საინტერესო ესსეთი „საუკუნეებს გადმოყოლილი შავი მანდილი მეფე თამარისა“.




„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: **ფიქრია ყუშიტაშვილის, შალვა საბაშვილის, თინათინ თელაველის, დარეჯან ჭანკოტაძის, ლელა კურტანიძის, გიორგი ზუბიტაშვილის, ჯემალ შაინიძის** ლექსები**; ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება), **ვანო ჩხიკვაძის, მარიამ ძამუკაშვილის, როლანდ გიორგაძის, ვაჟა მიროტაძის** მოთხრობები.

რუბრიკაში „ბავშვებისთვის საკითხავი“ გაეცნობით **მიხო მოსულიშვილის** საბავშვო პიესას „ოფოფების თეატრი“ (დასასრული) და **ნუნუ ძამუკაშვილის** საბავშვო ლექსებს.

რუბრიკით „სახალხო მთქმელი“ ქვეყნდება **ფირუზ კოჭლამაზაშვილის** ლექსები. „თარგმანების“ რუბრიკაში გაეცნობით **ევგენი ვოდოლაზკინის** მოთხრობას „ასეთი განსხვავებული დაკრძალვები“. რუბრიკაში „წერილები“ წაიკითხავთ: **ნუნუ ძამუკაშვილის** „ნოდარ იაგორაშვილის პოეტური ნათელხილვა“. გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია მხატვარ **ლევან მოსიაშვილის** ნახატი. ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი **ლევან ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 მარტს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2234; ევრო - 3.5486;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2481;
100 რუბლი - 3.2581; თურქული ლირა - 0.2173;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9008;
1000 სომხური დრამი - 6.5642.

**ამინდი 28 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +4 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +4 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +8 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge